№ 2741
შაბათი,
12 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 2741
შაბათი,
12 თებერვალი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ვ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

9-ს ამ თებერვალს ქ. მოსკოვში გარდაიცვალა

მაქსიმე ანდრიას ძე ალანია.

სადაც იქმნება დაკრძალული გვამი მიცვალებულისა, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **მარიამი** და **შვილები ალექსანრე და ვლადიმერი.**

პანაშვიდი იქნება გადახდილი ქ. ტფილისში რიყეზე წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში კვირას, 13 თებერვალს დილით. (1—45—1)

ეფემია დავითის ასული შვილებით: ელეონორა, ალექსანდრე, ვლადიმერ, კონსტანტინე და ვალერიანე შატილოვებით, კნ. ანნა და ილია ბეგთაბეგოვები და ოლღა და ილია ყიფიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 თებერვალს გადახდილი იქმნება პანაშვიდი უდროვოთ დაკარგულის პირველის უძვირფასეს შვილის, ხოლო უკანასკნელთა საყვარელის ძმის და ცოლის ძმის სამთო ინჟინრის,

ᲞᲝᲚᲘᲔᲕᲥᲢᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘᲡ

სულის მოსახსენებლად, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში დილის 11 საათზე. (1—42—1)

ᲓᲘᲓᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

კავკასიის **პირველი ამხანაგობა დამზადებულ ტანისამოსის** ძმ. აკოფჯანოვებისა და სარქისიანცისა. ნიკოლოოზის ხიდი, სახლი ქამოევისა № 25-30.

რადგან დიდ-ძალი საქონელი შეიკრიბა—კაცთა, ქალთა და ბავშვთა დამზადებული ტანისამოსი,—ჩვენ გადავწყვიტეთ დავნიშნოთ სულ **იაფი ვაჭრობა** 20 დღით 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე. ფასები ქარხნისაზე ნაკლებია. ფასებში ულაპარაკოდ. (150—12)

საზაფხულო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
შაბათს, 12 თებერვალს, 1905 წელს
წარმოდგენილი იქნება „M-lle ᲜᲘᲢᲣᲨᲘ“ ოპერა 4 მოქ. მუსიკა გერვესი
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია, დმიტრიევა, გორსკაია, ზასლავსკაია და სხ. ბ-ნნი: პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმაისტერი მიკლაშევსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
13 თებერვალს—ორი წარმოდგენა დილით და საღამოთი.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ
ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:

გ. ი. ჟიჟინაძე. კბილის 8—9 საათ.

ბ. ზ. მალალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

ნ. ტ. ჯულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

მ. დ. ლამაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ც. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.

ქალი მ. კ. იოხელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ᲔᲥᲘᲛᲘ
Ი. Ა. ᲒᲝᲥᲘᲔᲚᲝᲕᲘ
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ᲔᲥᲘᲛᲘ
Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—13)

კბილის ექიმი
ᲘᲕᲐᲜᲔ Პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
ᲔᲥᲘᲛᲘ
ᲥᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ წმ. ნინოს
ბაზრის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს
საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.
(30—0198—25)

ქ. ბათუმში
ᲛᲘ Ა. Გ. ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავად-
ველ დღე დილის 9—10 საათამდის.
და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში.
ბანკის სახლი. (60—403—9)

ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲡ
ლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ
ნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს.
ლი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელ-
პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად.
(30—417—28)

ქ. ბათუმში
ᲔᲥᲘᲛᲘ Ს. Ი. ᲑᲔᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ
დმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და სა-
ლის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალო-
რწელოვის სახლი. (30—0101—29).

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
Ი. ᲑᲐᲚᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7
ჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვე-
(30—17—16)

ახლად დაბეჭდილი
ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ
ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ. 50 ᲙᲐᲞ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—9)

ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ქოჩ თეთრი, ნამდვილი ბაღდადის ჯიშის **Ფ. Პ. ᲚᲐᲡᲙᲐᲠᲘᲓᲘᲡ** ფირმის, ტფილისის სააბრეშუმო სადგურის ბანდეროლით და უამისოთაც. იყიდება ტფილისში **Ბ. Გ. ᲙᲠᲐᲡᲜᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡ** კანტორაში, ბარიათინსკის ქ. № 8. (3—43—1)

ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲝᲛᲘ

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

11 თებერვალი

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. „ვორლდი“ ამბობს, რუზველტმა მიიღო საიდუმლოდ ამბავი. როგორცა სჩანს, იაპონიას გაუგებინებია, რომ ზავი სასურველიაო. „ვორლდი“ უმატებს, რომ იაპონიამ დაასახელა ის უმთავრესი პირობებიც, რომლის თანახმაც იგია.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 თებერვალი. ინგლისში ყველა დააინტერესა იმ ცნობამ, რომელიც „რეიტერის სააგენტომ“ მიიღო პეტერბურგიდან. აღნიშნულია პირობები, რომელთა მიღებისაც თანახმაა რუსეთი. „ტაიმსი“ ამ დეპეშის გამო სწერს, რომ იგი განგებ არის გამოგზავნილი, საქმის ვითარების გასაგებადაო. აქ ოფიციალურ წრეებში ეს პირობანი გამოგონილად მიაჩნიათ.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ის პირობები ზავისა, რომლის თანახმაც იაპონიაა, ამ რამდენისამე დღის წინად იაპონიის ელჩმა საიდუმლოდ აცნობა რესპუბლიკის პრეზიდენტს. ერთმა მაღალ თანამდებობის კაცმა უთხრა კორესპონდენტს, თუმცა იაპონია ფიქრობს, რომ კონტრიბუციაც ეკუთვნის, მაგრამ იგი არა თხოულობსო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. „დეილი მაილ“-მა ტოკიოდან დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ კამიმურას ესკადრა ინდოეთის ოკეანეშიაო.

10 თებერვალი.

ᲕᲔᲜᲐ. ბერლინში ავსტრიის მთავარი საკონსულო გასტეხეს; ეს ამბავი ძლიერ აღელვებს დიპლომატთა წრეებს. დამნაშავედ ვიცე-კონსული დეიტელი აღმოჩნდა. მნიშვნელოვანი დოკუმენტები დაიკარგა. დეიტელი თანამდებობიდან გადააყენეს.—ხმა დადის, რომ ნიშში შეხვედრის დროს მეფე პეტრემ და მთავარმა ფერდინანდმა მაკედონიის თაობაზე სამხედრო კონვენცია შეჰკრესო; შემდეგში ამ კონვენციას ჩერნოგორიაც მიემხროო.

ᲡᲐᲚᲝᲜᲘᲙᲘ. ბოლგართა რაზმებმა ბიტოლის ოლქში ახალი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს. სოფლებს ესხმოდნენ თავსა, სძარცვავდნენ ხალხსა და ბევრი მცხოვრებელი მოჰკლეს.

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘ, 9 თებერვალი. ამაღლების მონასტერში, დიდძალ მლოცავის თანდასწრებით, წირვა გადაიხადეს წმ. ინოკენტის ნაწილის აღმოჩენის დღიდან ასის წლის შესრულების გამო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. იუწყებიან, რომ ღვთივ განსვენებულის დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაუხდიათ ჩემბარსა, ბალტასა, პეტროზავოდსკსა, ვიტებსკსა, რჟევსა, კრონშტადტსა, ბერდიანსკსა და სტარაია რუსაში.

ᲑᲔᲠᲓᲘᲐᲜᲡᲙᲘ. აქ ყვავილის მოარულია გავრცელებული.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ლუბე შემოდგომაზე გადაუხდის დარბაზობას ესპანიის მეფეს, რომელიც ლუბესთან მოსვლას მაისის მეორე ნახევარში აპირებს. ინგლისის კონსერვატიული პრესა დიდის პროტესტით მიეგება გულის კომისიის სამედიატორო დადგენილებას. „მორნინგ პოსტ“-ი და „სტანდარდ“-ი აცხადებენ, რომ ინგლისს დიპლომატიურ საშუალებით უფრო სრულ ზნეობრივ დაკმაყოფილების მიღება შეეძლოო. ზოგიერთი კონსერვატიული გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისი საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს შემწეობით სამართალს ვერ მოიპოვებსო. ლიბერალური პრესა ასე არა ჩივის, მაგრამ მაინც ამ პრესასაც იმედი გაუცრუვა დადგენილებამ.

ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ. „მესსაჟერი მარიტიმ“-ის ამხანაგობამ გადასწყვიტა, რომ შავ ზღვაში მიმავალი გემები დროებით ბათუმში აღარ შევიდნენ.

ᲙᲝᲕᲜᲝ. აქაურ ქალთა გიმნაზიის უფროსის მეცადინეობით, 15 თებერვალს მოხდება პირველი საზოგადო კრება პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლებისა. კრებამ უნდა განიხილოს საპედაგოგიო საკითხები.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ცარსკოე სელოში დიდ სასახლის სობოროში, წირვის შემდეგ, გადახდილ იქნა პანაშვიდი ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე დედოფლის, დიდთა მთავართა, მთავრინათა, მინისტრთა, კარის კაცთა და დიპლომატიურ კორპუსის თანდასწრებით.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. წესი აუგეს დიდ მთავარს სერგი ალექსანდრეს ძეს. 10 საათზე კრემლის ეკკლესიის სამგლოვიარო ზარებმა აცნობეს ღვთის მსახურების დაწყება. ჩუდოვის მონასტერში შეიკრიბნენ კარის კაცნი, იმ სამხედრო ნაწილთა დეპუტაციები, რომლების შეფადაც ითვლებოდა განსვენებული, ურიცხვი დეპუტაციები მრავალ საზოგადოებათა და დაწესებულებათა, სადაც განსვენებული იყო მეურვედ, თავმჯდომარედ ანუ საპატიო წევრად. ეკკლესიაში იყვნენ გზათა მინისტრი, თავადი ხილკოვი, გენერალ-ადიუტანტები, სახელმწიფო საბჭოს წევრები, სენატორები, სტატს-სეკრეტრები, საპატიო მზრუნველნი და მინისტრთა ამხანაგები. თერთმეტის ნახევარზე დაიწყო სამგლოვიარო წირვა. ნიკოლოზის სასახლიდან შიგნითი შესასვლელით შევიდნენ ეკკლესიაში დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული ჰესსენის დიდ ჰერცოგთან ერთად, დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე საქსენ-კობურგ-გოტის ჰერცოგინიასთან, დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე პრინცესს ვიქტორიას ბატენბერგისასთან, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული პრინცესს ბატრისასა და დიდ მთავარ დიმიტრი პავლეს ძესთან და ჰერცოგები გიორგი და მიხეილ გიორგის ძენი მეკლენბურგ-სტრელიცკები. ავგუსტოესო პირები ემთხვივნენ გვამს და მოჰყვნენ კუბოს მარჯვნივ წირვას ასრულებდა მიტროპოლიტი ვლადიმირი, ორი ეპისკოპოსი და მრავალი სამღვდელოება. ეკკლესიის წინ მოედანზე იდგა როტა იმ პოლკისა, რომლის შეფადაც განსვენებული იყო. სანამ მიტროპოლიტი და ეპისკოპოსები ტრიფონი, სერაფიმე, ნიკონი, ნათანაილი და გრიგორი წესის აგებას დაიწყებდნენ, მიტროპოლიტმა წარმოსთქვა სიტყვა. ღვთის მსახურება რომ გათავდა, ავგუსტოესმა პირებმა მიტროპოლიტმა და სხვა სამღვდელოებამ, განსვენებულის ამალამ, პირადმა მისმა მოსამსახურეებმა უკანასკნელი თაყვანი სცეს დიდის მთავრის გვამს. კუბო აიღეს საიმპერატორო გვარეულობის წევრებმა, დიდის მთავრის ამალამ, თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლებმა და განსვენებულის სახელის წევრებმა. სამგლოვიარო პროცესია „წმიდათ ღმერთო“-ს გალობით გაემართა ანდრიას ეკკლესიაში. წინ მიდიოდა სამღვდელოება, კუბოს უკან: დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული დიდ ჰერცოგ ჰესსენისასთან ერთად, დიდი ჰერცოგინია ჰესსენისა, ჰერცოგინია საქსენ-კობურგ-გოტისა, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული და ბატენბერგის პრინცესა. წირვის შემდეგ კუბო დასდეს სარკოფაგზე და გადააფარეს ვერცხლის დიბა. აქვე გადმოიტანეს ვერცხლის გვირგვინები, ჩვეულებრივ გვირგვინების ყვავილები კი წაიღეს სახსოვრად დამსწრეებმა. თავის სიტყვის დასაწყისს მიტროპოლიტმა მიმართა დიდ მთავრინას ნუგეშის ცემით და აღნიშნა ეხლანდელი არეული მდგომარეობა, სთქვა რა, რომ დიდის მთავრის სისხლის ღვრაში დამნაშავეა რუსეთის საზოგადოება. წამებულის დიდის მთავრის სისხლი, როგორც სისხლი ძველთა წამებულთა, რომელნიც სარწმუნოებასა და სიმართლეს ემსახურებოდნენ, შეიქნება თესლად მონანებისა და საზოგადოების ზნეობრივ გამოფხიზლებისა. „მოგვიტევე, ძვირფასო დიდო მთავარო-წამებულო, დაღვრილ სისხლისთვის და ნუ მოგვიგდებ მას განსჯად ჩვენთა. შენ არამც თუ ეხლა, არასოდეს არ გაჰქრები რუსეთის ხალხის ხსოვნიდან და ჩვენ მხურვალედ ვილოცებთ, რათა განსვენებულ იქმნეს სული შენი“.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 თებერვალი

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, 10 თებერვალი. არაფერი არ იციან „ვლადიმირ მონომახ“-ის დაზიანების შესახებ. საზოგადოთ ესკადრას არ დაუტყვიანებია დიდ ბელტაში.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 10 თებერვალი. მტკიცდება, რომ გულის კომისიის დასკვნა რუსების სასარგებლოა. კომისიის აზრით, როჟესტვენსკის უფლება ჰქონდა ხიფათის მოლოდინისა და წესიერადაც მოიქცა, მაგრამ არის ინგლისის დამამშვიდებელი მოსაზრებანიც. მაგალითად, კომისიის შეხედულებით, სროლამ დიდხანს გასტანა და როჟესვენსკის უნდა შეეტყობინებია ინგლისის მთავრობისათვის ამ სამწუხარო ინციდენტზე. შესახებ ნაღმიან გემებისა კომისიამ განაცხადა, რომ არ ეხება უცხოელ ფლოტის შესახებ საკითხს. კომისიის მოხსენება შედგენილია კითხვა-პასუხის სახით და შეიცავს ათ კითხვას პასუხებით; იქვე ნაჩვენებია, ერთხმად არის მიღებული აზრი თუ უმრავლესობით. გუშინ ინგლისის ადმირალის წინადადება—რუსებს გაკიცხვა გამოეცხადოსო, უარჰყვეს. დღეს დახურული სხდომა უკანასკნელია; საჯარო სხდომა შაბათს იქნება.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 თებერვალი. გაზეთები უკმაყოფილონი არიან გულის კომისიის გადაწყვეტილებით, მაგრამ ერთხმად ამბობენ, ინგლისი უნდა დაემორჩილოს გადაწყვეტილებასაო. „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს რუსეთის დიპლომატიურ გამარჯვებას. „მორნინგ-პოსტი“ სწერს, კომისიამ დაამყარა საშინელი პრინციპი, რომ ნეიტრალურ გემს უფლება არა აქვს დაიცვას თავი მებრძოლთაგან; კაბინეტმა დაამცირა ინგლისის ხალხი, რადგან დასთანხმდა კომისიის დაწესებასაო. „დეილი ქრონიკლი“ სწერს, რუსეთმა დაამარცხა ინგლისის მთავრობაო.

ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮᲡᲒᲐᲤᲔᲜᲘ, 10 თებერვალი. გუშინ საღამოთი რუსის მესამე ესკადრა სკაგენის ბუხტიდან დასავლეთისკენ წავიდა.

10 თებერვალი

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ, 10 თებერვალი. 12 ბატალიონი რედიფი (მეშველი ჯარი) იემენს წავიდა აჯანყებულ დივიზიის უფროსის გენერალ ალირიზა-ფაშის წინააღმდეგ სამოქმედოთ. წარსულ კვირას აჯანყებულთა უმთავრესი ადგილი—მაუკა, ხოდეიდასა და ხანდას შუა, ოსმალებმა აიღეს ორის დღის ბრძოლის შემდეგ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 10 თებერვალი. სავაჭრო ზღვაოსნობის საბჭომ საჭიროდ სცნო, სავაჭრო ფლოტის მოსამსახურეთათვის საპენსიო კასის დაწესების საქმე ეხლავე განიხილოს და მუშების სახელმწიფო დაზღვევის საქმის გადაწყვეტას აღარ მოუცადოს.

ᲥᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ომის ამბები. სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან არც ერთი დეპეშა აღარ მოსულა. გენ. კუროპატკინისა და სახაროვის დეპეშა ხომ ეს მესამე დღეა აღარ მოსულა. ასე რომ როგორ მიდის საქმე ცინხეჩენთან, არ ვიცით.

„ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ხარბინიდან: იაპონელები სინანპუს ხიდსა და სადგურ ფანძიატუნს (ხარბინსა და ტელინს შუა) დაეცნენ; სწორედ ამ დროს იაპონელებისა და ხუნხუზების რაზმი მონგოლიაზე მიდიოდა; ფინშუილინს ახლო ტბასთან დიდი რაზმი უნახავთ, ბოდუნისაკენ მიმავალი; ეს რაზმი იქნება ჩრდილოეთისაკენ, ხარბინისაკენ მიდიოდეს. ადგილობრივი ჩინელები ცუდ გუნებაზე არიან. რუსის მანეთის ფასი დაეცა. ხმა დადის, გენ. მიშჩენკო სწრაფად რჩებაო.

ერთ ინგლისელს ტიანძინში რუსის კონსულისაგან ნებართვა აუღია და მუკდენში წასულა. იქ სამს დღეს დარჩენილა, ყველაფერი დაუთვალიერებია და მერე წერილი გაუგზავნია „ტაიმს“-ში. ინგლისელი სწერს: მუკდენში დიდი უწესოებაა, მაგრამ ჩინელები მაინც დიდ ფულსა შოვობენ, რადგან რუსები კარგ ფასებს აძლევენ ყველაფერში. რუსის სამხედრო თუ სამოქალაქო წრეები მეტად დაღონებულნი არიან. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონელები მუკდენს აიღებენო. ჯარს უმთავრესად ის აღონებს, რომ გენ. კუროპატკინს თავისი მთავარი სადგომი მატარებელში აქვს გამართული და ყოველ წამს მზადაა ჩრდილოეთისაკენ წასასვლელადაო. რუსებს დიდძალი სურსათი მოსდით სინმინტინიდან ჩინეთის რკინის გზით; ყოველ დღე მთელი მატარებლები მოდის სურსათით. იაპონელებმა რომ სინმინტინი ჩაიგდონ ხელში, რუსის არმია გაჭირვებაში ჩავარდებაო. („ნ.“).

„ნ. ფრ. პრესე“-ს სამხედრო მიმომხილველს უკვირს, იაპონელები რად აძლევენ რუსებს ჩინეთის რკინის გზით სურსათის ზიდვის ნებასაო. („ნ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: რუსეთის შინაგან არეულობის ამბები და არეულობის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებანი ცუდად მოქმედებენ რუსის არმიაზეო.

იმავ გაზეთში ორი წერილია დაბეჭდილი ციმბირის რკინის გზის წესებზე. წარსულ 11 აგვისტოს მე-18 ციმბირის პოლკში ხარბინში შტ.-კაპ. კოლპაკოვისათვის თბილი ტანისამოსი გაუგზავნიათ და ეს გაგზავნილი ნივთები დღემდე არ მიუღია კოლპაკოვს. იმავ პოლკისათვის პეტერბურგიდანაც გაუგზავნიათ ნივთები, მაგრამ ნივთებიდან 132 წყვილი ნაბდის ფეხსაცმელი და ხელთათმანი დაკარგულიყო. ამაზე ოქმი შევადგინეთ და უფროსებს გადავეცითო. „ნოვოე ვრემია“ შენიშნავს: ნეტავ რა გამოვა ამ ოქმიდანაო.

„ნოვოე ვრემია“-ს სამხედრო მიმომხილველი შენიშნავს, გენ. გრიპენბერგის ნალაპარაკევიდან გამოდის, რომ რუსებს ხეგოუტაიც არ ჰქონიათ აღებულიო.

პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: აქ 5 თებერვალს ცნობა მიიღეს, გენ. შტაკელბერგი დაჭრილაო.

გუშინწინდელ ნომერში დაბეჭდილი იყო: ამბობენ, იაპონელები მდ. ხამიხეს ხეობით ხეილუნჩენისაკენ მიდიან და რუსის არმიის მარცხენა ფრთას გვერდიდან უვლიანო. ხამიხეს ხეობა და ხეილუნჩენი ტელინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობენ და არა დასავლეთით, როგორც შეცდომით იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. ამას გარდა იმავ ნომერში შეცდომით დაბეჭდილია: გენ. ნოგის ახალი არმია ხსენებულ სარეზერვო **საზოგადოებისაგან...** შესდგება; უნდა იყოს: **ბრიგადებისაგან...**

ᲞᲝᲠᲢ-ᲐᲠᲢᲣᲠᲘ. „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ჩერნიხოვსკი დეპეშით იუწყება ჩიფუდან: იაპონელებმა „ვისოკაია გორა“ და პორტ-არტურის გარშემო მდებარე სიმაღლეები გაამაგრეს. ლიაოტეშანზე ბატარეებს სდგამენ. იაპონელები ყველგან რუსის ზარბაზნების ნაცვლად თავიანთებს სდგამენ და ყოველ დღე სროლაში ვარჯიშობენ. რუსის ზარბაზნებსა და თოფებს იაპონიაში ჰგზავნიან დაულად. პორტ-არტურში ღამით მიაქვთ ყველაფერი. დალნისა და პორტ-არტურში მეტად მცირე ჯარი ჰყავთ, დალნიში რაც სარეზერვო ჯარი მოდის, მაშინვე ჩრდილოეთისაკენ ჰგზავნიან. გუშინ იაპონელების გემით ხალხი მოვიდა ჩიფუში; მოსულებმა ილაპარაკეს, რომ დალნიში გემი მოვიდა ახალის ჯარითაო. დალნი ციხესა ჰგავს; ფორტებიცაა აშენებული. იაპონელებს იმედი აქვთ, რომ 28 თებერვლამდე რუსებს სულ მოიშორებენ პორტ-არტურიდან. რუსებმა პორტ-არტურში 3,800 ცხენი ჩააბარეს იაპონელებს.

ამას წინად „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყებოდა, იაპონელებს სულ არ დაუზიანებიათ რუსის საავადმყოფოები პორტ-არტურში; მხოლოდ ორიოდე ყუმბარა მოჰხვედროდა შემთხვევითაო. ეხლა გენ. სტესელთან მომავალ რუსის აფიცრებსაც უთქვამთ „მატენ“-ის კორესპონდენტისათვის: საავადმყოფოებს შემთხვევით ჰხვდებოდა ყუმბარები, იაპონელები ყოველთვის მეტის-მეტად წესიერად იქცეოდნენო. („რ.“).

გენ. კუროპატკინი და გენ. გრიპენბერგი. „დეილი ქრონიკლ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება, გენ. გრიპენბერგი ხეიგოუტაის ბრძოლის შემდეგ ორი საათი-ღა დარჩა არმიასთან და ისე წამოვიდა რუსეთში, რომ გენ. კუროპატკინს არც-კი გამოემშვიდობაო. („ო. ნ.“).

გენ. გრიპენბერგის აზრი ხომ ვიცით სანდეპუს ბრძოლაზე, ეხლა ვნახოთ, გენ. კუროპატკინი რაღას ამბობს ამავე საქმეზე.

„პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტი ასე გადმოგვცემს რუსის მთავარ-სარდლის ნათქვამს: „დიდის უსაქმობით დაღალულმა მეორე არმიის უფროსმა იაპონელებზე დაცემა და სანდეპუსთან დემონსტრაციის მოხდენა მოინდომა. მთავარ-სარდალმა ნება მისცა, მაგრამ მაშინვე მკაფიოდ გამოუცხადა, რომ გენ. გრიპენბერგი მარტო თავის არმიით წასულიყო იოლად და პირველ და მესამე არმიის შველის იმედი არა ჰქონოდა. გენ. გრიპენბერგი დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა და იერიში მიიტანა, მაგრამ იაპონელებმა ისეთი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და უცებ ისეთი დიდი ზარალი მისცეს იმის ჯარს, რომ იძულებული იყო, უკან დაეხია. თუმცა წინადვე ჰქონდა გამოცხადებული, შველის იმედი არა გქონდესო, გენ. გრიპენბერგი მაინც მრავალ კაცს უგზავნიდა მთავარ-სარდალს და მაშველ ჯარს სთხოვდა, მაგრამ მუდამ ერთი და იგივე პასუხი მოსდიოდა, მაშველ ჯარს ვერ გამოგიგზავნითო. გენ. გრიპენბერგმა პროტესტი გამოაცხადა და ძლიერ აღელდა, თან ამბობდა, სიტყვა მაქვს მიცემული, რომ უკან არას დროს არ დავიხევო. დასასრულ მეორე არმიის უფროსმა ბრალი დასდო გენ. კუროპატკინს, ჩემი შერცხვენა გინდათო. მთავარ-სარდალმა ამაზე სასტიკი შენიშვნა გამოუცხადა; გენ. გრიპენბერგმა მაშინვე თანამდებობიდან გადადგომის ქაღალდი წარუდგინა გენ. კუროპატკინს და პეტერბურგს წავიდა. („ია. ნ.“).

„ნოვოე ვრემია“ სწერს: გენ. გრიპენბერგი არ უნდა გადამდგარიყო სამსახურიდანაო. ეს შეტაკება რუსის სარდლებს შუა მეტად სამწუხაროა, მით უმეტეს, რომ ეს პირველი მაგალითი არააო.

„კიევსკაია გაზეტა“ სწერს: თუმცა პეტერბურგში სამხედრო წრეები ბოლოს დროს გენ. კუროპატკინის მხარეს გადავიდნენ, მაგრამ მაინც ზოგი თხოულობს, გენ. კუროპატკინის მაგივრად უფრო რისკიანი, გაბედული სარდალი უნდა დაინიშნოსო, თორემ ეხლანდელი მთავარ-სარდალი ნამეტანი ფრთხილი კაციაო. („ო. ნ.“).

ხმები ზავზე. უცხოეთის პრესსა ირწმუნება, ზავი ისე შორს არაა, როგორცა ჰგონიათო. „ტაიმს“-ი შეჰნიშნავს: ამ ჟამად ომი თვით ბეჯით კაბინეტის სტრატეგებსაც აღარ ეინტერესებათ: ომი ანახრონიზმი გახდაო.

ამერიკული პრესსა ირწმუნება, პეტერბურგში, ხანგრძლივ თათბირის შემდეგ, ომის მოსპობა და ზავის ჩამოგდება გადაწყვიტესო. „ჩიკაგო დეილი ნიუს“-ი იუწყება, ამ საქმეზე სახელმწიფო საბჭოს წევრებმა საიდუმლო კენჭის ყრა მოახდინეს და ყველამ თითქმის ერთხმად ზავის ჩამოგდება გადაწყვიტა, მხოლოდ ერთმა მაღალ წარჩინებულმა პირმა ისურვა ომის განგრძობაო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი იუწყება: ზავზე საიდუმლო მოლაპარაკებაა გამართული. ყველაზე მეტად კონტრიბუციაზე მორიგება აბრკოლებს საქმესაო.

სამაგიეროდ „ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი ირწმუნება, რუსეთის მთავრობა ზავს არ ჩამოაგდებს, სანამ ან ხმელეთზე, ან ზღვაზე არ გაიმარჯვებს. ერთმა წარჩინებულმა პირმა მითხრა; „ეხლა რომ იაპონიას შევურიგდეთ, რუსეთის ეხლანდელ წეს-წყობილებას სახელი გაუტყდებოდა როგორც შინ, ისე საზღვარ-გარედ. რუსეთს ზავის ჩამოგდება მხოლოდ დიდის გამარჯვების შემდეგ შეუძლიანო. („ო. ნ.“).

რომელი ცნობა უფრო მართალია ამათში, ამას მალე გავიგებთ.

გაზეთ «ცნობის ფურცელზე» ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

რუსეთის მესამე ესკადრა. 3 თებერვალს კონტრ-ადმირალ ნებოგატოვის უფროსობით მესამე ესკადრის პირველი რაზმი გავიდა. „ეკო დე პარი“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: მაისში მესამე ესკადრის მეორე რაზმიც წავა შორეულ-აღმოსავლეთს. მეორე რაზმში შემდეგი გემები იქნება: საესკადრო ჯავშნიანი გემები: „სლავა“, „იმპერატორ ალექსანდრე II“, ორი კრეისერი: „პამიატ აზოვა“ და „ადმირალ კორნილოვი“, ნაღმის მზიდველი გემი „ვოლგა“ და 15 ახალი ნაღმიანი გემი. ესკადრის უფროსად, ალბად, ადმირალი ბირილევი დაინიშნებაო. („ს.“).

წელიწადი ომი. „ნოიე ფრაიე პრესე“ სწერს: „ომი ნამდვილი მიუდგომელი და მოუფერებელი ეგზამენია. ომი ყველა ტყუილ სახელს აქრობს: ომამდე რუსეთი მსოფლიო დიდებული სახელმწიფო იყო, ყველა სახელმწიფო პატივისცემითა და მოწიწებით ექცეოდა. ეხლა, 12 თვის განმავლობაში, მრავალმა დამარცხებამ ძლიერ გაუტეხა რუსეთს სამხედრო სახელი. მთელი ქვეყნიერობა დარწმუნდა, რომ რუსეთს გაზვიადებული სახელი ჰქონია, ამიტომ ეხლა აღარავინ აღარ მოეფერება და ქედს აღარ მოიხრის რუსეთის წინ. („ნ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო მიმომხილველი გრაფი რევენტლოვიც ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ პორტ-არტურის აღებასა სთვლის. რევენტლოვი სწერს „რუსკი ლისტოკ“-ში: იაპონელებს რომ ამ ომის დროს პორტ-არტურის მეტი სხვა არა აეღოთ-რა, ესეც მეტად დიდი საქმე იქნებოდა. პორტ-არტურს რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბრუნებს, თუ გენ. კუროპატკინი იაპონიის არმიას ყველგან ძალზე დაამარცხებს და თუ ადმირალი როჟესტვენსკიც იაპონიის ფლოტს დაამარცხებს და ზღვაზე გაბატონდება. მაგრამ ამ ჟამად საქმე ისე მიდის, რომ ციხის დაბრუნება შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს; და თუ რუსეთი ამ ომის დროს ვერ აიღებს პორტ-არტურს, მერე ხომ სულ ველარ დაიბრუნებს. იაპონელები პორტ-არტურში ჩაძირულ გემებსაც იღებენ. ძვირფას გემების შოვნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს; ამის იმედი თითონ იაპონელებსაც არ ექნებოდათ...

უცხოეთის პრესა აღნიშნავს, რომ იაპონელებს მარტო ტიურენჩენთან და ცინჩოუსთან ჰყავდათ რუსებზე მეტი ჯარი, დანარჩენ ადგილებში კი ზოგგან თანასწორად ჰყოლიათ, ზოგგან ნაკლებიც. ვაფანგოუსთან თანასწორი ჯარი ჰყავდათ; დაშიჩაოსთან, მოდულინთან, ლიაოიანთან, მდ. შახეზე და სანდეპუსთან ნაკლები ჯარი ჰყავდათ და მაინც დაამარცხეს რუსის ჯარიო. („კ. გ.“).

ცხოვრება და სამართალი

6

ერთის წლის წინად „პოლიტიკური გაზაფხული“ მხოლოდ ლამაზი, პოეტური, გულის წამახალისებელი სიტყვა იყო, რომელიც რუსეთის საზოგადოებას იმედებს უნერგავდა, მაგრამ ოცნების სამფლობელოს ვერ სცილდებოდა და სინამდვილედ ვერ გადაქცეულიყო. მანჯურიის მთასა და მინდორში ატეხილმა თოფ-ზარბაზნის გრგვინვამ და რუსეთის ჯარის-კაცების უმწიკვლოდ დანთხეულმა სისხლმა სიტყვა საქმედ გადააქცია და დღეს გაზაფხული მარტოოდენ იმედი აღარ არის, იგი ფაქტია, რომელიც ცხრა იანვარს პეტერბურგში მთელის თავის რეალურის ძლევა-მოსილებით აშკარად გამოჩნდა და ამცნო ქვეყანას, რამდენი ძალა და ღონე აქვს იმას ზამთრის ყინულის გასატეხად, რომელიც გაზაფხულის პირში უთუოდ სქლად აქვს ხოლმე გადაკრული ცოცხალს და მჩქეფარე მდინარეს. რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღრმა, ძირითადი რეფორმების შეტანა აუცილებელი გახდა, ბიუროკრატიის წინ ათასი სიმპტომი შეურყეველის საბუთებით ამტკიცებს რეფორმების საჭიროებას, იგი ჰხედავს ამ მოზღვავებულს საჭიროებას, რომელმაც უკვე მთელის რუსეთის ცნობიერება დაიპყრო, და სცდილობს, რაიმე გზა მისცეს, რაიმე სალსარი მოუპოვოს ხალხის მოთხოვნილებას, მაგრამ ისე კი, რომ თითონ კულანდებურად სახელმწიფო საქმეების სრული ბატონი და მბრძანებელი დარჩეს. აი, სწორეთ აქ არის სათავე და კვანძი იმ უსისტემობისა და ულოღიკობისა, რომელიც ახასიათებს დღევანდელს საკანონმდებლო ციებ-ცხელებას.

რეფორმა აუცილებლად იგულისხმებს ორს ელემენტს, ორს ნაწილს, რომელთაგანაც იგი შესდგება: კრიტიკას და შემოქმედებას. კრიტიკამ უნდა აჰხადოს ფარდა ეხლანდელს მოქმედ კანონს, გამოარკვიოს იმის შინაარსის ნამდვილი მნიშვნელობა, და შემოქმედებამ უნდა გამოიგონოს ისეთი წესი ცხოვრებისა, რომელიც ადამიანს ააცილებს თავიდან კრიტიკისაგან აღნიშნულს ნაკლულევანებას. კრიტიკა და მით უმეტეს შემოქმედება იმგვარი ნიჭია, რომელსაც ვერავითარი ბრძანება, ვერავითარი განკარგულება, ვერავითარი ფორმალური ავტორიტეტი ვერ შეჰქმნის. კრიტიკა და შემოქმედება წარმოადგენენ ცოცხალ ადამიანის ცხოველს ძალას, რომელიც პიროვნების თავისუფალ აგებულობაზეა დამყარებული და ამიტომ ვერავითარს ბატონობას ვერ ურიგდება. ბიუროკრატია, პირიქით, მთლად ბატონობის და ხელქვეითობის, მბრძანებლობის და მორჩილების სისტემაზეა აშენებული, ე. ი. ისეთი მოწყობილება აქვს, რომელიც სულს ართმევს და გულს უხუთავს ყოველსავე კრიტიკას და შემოქმედებას. აშკარაა, ასეთს პირობებში ბიუროკრატია უძლურია და რეფორმების საქმე იმის ხელში გარეგნობას და ზედაპირს ვერ გასცილდება. დღევანდელი ცხოვრება კი ძირითადს რეფორმას ითხოვს და არა გარეგან გაშალაშინებას აწ არსებულის კანონებისას.

თანამედროვე ცხოვრების გულუბრყვილო მეთვალყურე გაოცებული იკითხავს, რატომ მთავრობა ყველა თავის ხელქვეითს სიტყვის თავისუფლებას არ მიანიჭებს, თუ კი საჭიროდ აღიარებულ რეფორმათა მოსახდენად ეს თავისუფლება აუცილებელი პირობაა. საქმეც სწორედ ის არის, რომ ერთხელ აღიარებული თავისუფლება უკან ველარ წაიღება და ეს თავისუფლება შემდეგში ბიუროკრატიას მუდამ კრიჭაში ჩაუდგება, მაშასადამე, ბიუროკრატია დაკარგავს იმ ბატონობას, რომელიც ეხლა მთლად იმის ხელშია და თავისუფლების დამყარებით კი ხალხის უმრავლესობის ხელში გადავა. ნურავის ჰგონია, ვითომც შესაძლო იყოს რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების დღევანდელის წესის შერიგება პიროვნების ხელშეუხებლობასთან, სიტყვის, პრესსის და ორგანიზაციების თავისუფლებასთან. ეს ღრმად შემცდარი აზრია. თავისუფალ ადამიანის კრიტიკისა და სიტყვისა ბიუროკრატიას მოღერებულ ხმალზე ნაკლებ არ ეშინიან.

დღეს, რუსეთის ძირითად კანონებით, მთელს იმპერიაში არავის, უმაღლეს მთავრობის გარდა, არა აქვს უფლება განიზრახოს მომქმედ კანონებში რაიმე ცვლილების შეტანა; რუსეთის ქვეშევრდომი სასტიკად მოვალეა, ყოველი კანონი აასრულოს, მაგრამ უფლება კი არა აქვს ხმა ამოიღოს იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანი შინაარსი აქვს ამ კანონს. იმ სახელმწიფოში, სადაც ხალხს საკანონმდებლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება არა აქვს, შეუძლებელია სიტყვის თავისუფლება იყოს, იმიტომ რომ თავისუფალი სიტყვა ყოვლის უწინარეს კანონმდებლობაზე დაიწყებს მსჯელობას, რადგან ადამიანის ცხოვრებაში არაფერს არა აქვს ისეთი დიდი, ისეთი თვალსაჩინო მნიშვნელობა, როგორც კანონს.

მოზღვავებულ ხალხის კმასაყოფელად რუსეთის უმაღლესმა ბიუროკრატიამ რეფორმათა საჭიროება აღიარა, მაგრამ ამ წერტილიდან ჯერ კიდევ დიდი მანძილია იმ მდგომარეობამდე, როდესაც ბიუროკრატია ფარ-ხმალს აიხსნის, სახელმწიფო განუყოფელს ბატონობაზე უარს იტყვის და საკანონმდებლო მოღვაწეობისთვის თვით ხალხს მოიწოდებს. სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, რომ დღეს ბიუროკრატია ხალხის დამშვიდებას და დაწყნარებას თავის საკუთარის ძალღონით სცდილობს და გაცხარებული მუშაობს ისეთის კანონების გამოსაგონებლად, რომელთაც ერთის მხრივ ქვეყანა უნდა დაამშვიდონ და მეორე მხრივ ბიუროკრატიას დღევანდელი ბატონობა შეანარჩუნონ.

მიაღწევს თუ ვერა რუსეთის ბიუროკრატია თავის სურვილს, მოახერხებს ხალხის დაკმაყოფილებას თავის ძალღონით თუ იძულებული იქნება აღიაროს თავისი უძლურება,—ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის განვითარებული რუსეთის ცხოვრება და რუსეთის აზრი. ვისაც სწამს, რომ ცხრა იანვრის ამბავი ოაზისი არ არის, ვისაც სჯერა, რომ დღევანდელი მოძრაობა რაიმე კერძოობით და გარდამავალის მიზეზით კი არა, ძირითადის უკუღმართობით არის გამოწვეული, ის ადვილად მიაგნებს ამ კითხვის პასუხს.

ჯერ-ჯერობით მინისტრთა კომიტეტის მოქმედებამ მხოლოდ ის დაგვანახვა, რასაც უიმისოდაც ვხედავდით, სახელდობრ ის, რომ ბიუროკრატიას მხოლოდ გარეგნობით შეუძლიან შესცვალოს რუსეთის ეხლანდელი კანონები, რომელთა საერთო ხასიათი და ძირითადი პრინციპები ვერავითარს ცვლილებას ვერ აიტანენ და ვერ გაუძლებენ. რა ესაჭიროება და რას ითხოვს დღეს ხალხი? ნუ თუ ძველის ფორმულების ახალს რედაქციას, ძველის სიტყვების ნაცვლად ახალის შემოღებას, მოხელეთა შორის ძველის უფლებების ახალს განაწილებას? უეჭველია, არა; ასეთი ბიუროკრატიული რეფორმები ხალხის გაჭირვებას მალამოდ ვერ გამოადგება, ხალხის წყლულს შვებას ვერ მოუტანს.

თუ იქ, სადაც ხალხს უფლებაც კი არა აქვს საერთო თხოვნით მიჰმართოს მთავრობას, რაც უნდა უმანკო და გულწრფელი იყოს ეს თხოვნა, სადაც ბიუროკრატია მთელის თავის ძალ-ღონით ეომებოდა თავისუფალს აზრს და თავისუფალს ყრილობას, თუ იქ, მიუხედავად მრავალის დაბრკოლებისა, ხალხმა მაინც მოახერხა და ას ორმოცდაათ მილიონიანმა საზოგადოებამ ერთხმად მტკიცედ გამოსთქვა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეუძლიან, აშკარაა, წვრილმანის რეფორმებით ხალხის დაყუჩება უკვე შეუძლებელია. ვისაც რეფორმის შესახებ ფიქრიც კი აკრძალული აქვს, ის მხოლოდ მაშინ იწყებს ხმა-მაღლა რეფორმათა მოთხოვნას, როდესაც ღრმად გადაწყვეტილი აქვს, ერთხელ და სამუდამოდ მოიპოვოს კანონიერი გზა თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამიტომ ძალიან სახიფათო მომავალს ამზადებენ ის წარმომადგენლები ბიუროკრატიისა, რომლებსაც დღევანდელ პოლიტიკურის განსაცდელის გაქარწყლება ჰსურთ და ხალხის დამშვიდებას ძველის საგნების ხელ-ახალის გადანათვლით და სახელის გამოცვლით სცდიან. თანამედროვე ისტორიული მომენტი მეტს, გაცილებით მეტს თხოულობს.

გ. რ.

ახალი ამბავი

◆ ავლაბრის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს, შუამდგომლობა აღძრან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ **ავლაბარში დაარსდეს** ამ ჟამად ორ-კლასიანი სასწავლებელი მაინც, რადგან ავლაბრიდან ვერაზე საქალაქო სამ კლასიან სასწავლებლის გადატანით მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენო.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ბოლო დროს **ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში** 30 ქალამდე მიიღეს. უმრავლესობა ტელეგრაფის მოხელეებად არიან. წინად ქალები ღამე არ მორიგეობდნენ და მხოლოდ ეხლა დააწყებინეს. ამ აზრით, ქალებისთვის მოაწყეს ორი ოთახი და დაიქირავეს მოახლე. კარგია, რა თქმა უნდა, მოსამსახურე ქალებისათვის რომ ზრუნავენ, მაგრამ ურიგო არ იქნება ტელეგრაფისტ კაცების მდგომარეობასაც მიაქციონ ყურადღება. ტელეგრაფის სამოც მოსამსახურეს ერთი პატარა და ჭუჭყიანი ოთახი აქვს. ეს ოთახი ტანისამოსის შესანახავიც არის, სასადილოც და საჩაიეც. ოთახში ისეთი სივიწროვეა, რომ კაცი ვერ გაივლის. ამბობენ, ოთახები არ არისო, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იქვე გვერდით ორი დიდი ვითომდა საიდუმლო ოთახია, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ამ ოთახებში, წერილებსა სინჯავენ.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის მოქალაქეთა გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს სია ახლად ამორჩეულ **მოქალაქეთა 100 რწმუნებულისა.** ეროვნებით რწმუნებულნი ასე განიყოფებიან. სომეხი არის 54, რუსი—26, ქართველი—17, ებრაელი—2 და გერმანელი—1.

◆ როგორც „ინვალიდ“-შია გამოცხადებული, უკანასკნელ **ბრძოლის დროს მსუბუქად დაჭრილა,** სხვათა შორის, პოდპორუჩიკი თავ. ალექსანდრე ვლადიმირისძე გედევანიშვილი.

ფელეტონი

საფრანგეთის ისტორიიდან

მეთვრამეტე საუკუნის მოაზრენი და მწერლები

ხშირად არის, რომ ხალხი მეტად გაჭირვებულია, გრძნობს ამ თავის გაჭირვებას და მოწადინებულია თავი დააღწიოს მას, მაგრამ უვიცი და განუვითარებულია და განთავისუფლების ნამდვილ გზისთვის ვერ მიუგნია. ან როგორ უნდა მიეგნო?

ძველ, დახავსებულ ცხოვრებას ხალხი შებოჭილი ჰყავს: უფროსებისაგან გაუგონია და შეუთვისებია, რომ უმცროსი და უფროსი, ბატონი და ყმა ყოველთვის ყოფილა და იქნებაო; ეკკლესია და სასულიერო წოდება, ხალხის მთავარი ხელმძღვანელი ძველ დროში, მუდამ იმის მქადაგებელი ყოფილა, რომ მორჩილება და მოთმინებაა პირველი ღირსებაა ადამიანისა. ხალხიც ითმენდა და მორჩილებაში იყო; ეკკლესიაში დადიოდა, ლოცულობდა და ელოდა, რომ გულ-მოწყალე და კეთილი მეფე მოხედავდა მის გაჭირვებას; ზევით ღმერთი და ამ ქვეყნად მეფე—აი, იმედი ხალხისა. მართალია, დიდი გადასახადი მიჰქონდა მთავრობას, მთავრობის წარმომადგენლნი შეუბრალებლად [illegible] ხალხის შვილებს, მთავრობა არავითარ ღონისძიებას არ ხმარობდა ხალხის მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მაგრამ, ხალხის თვალში, ამისი ბრალი მეფეს როდი ედებოდა: რაც უბედურება გვჭირს, სულ მოხელეების საქმეა, თორემ მეფემ რომ ნამდვილად იცოდეს თავის საყვარელ ხალხის აუტანელი მდგომარეობა, მოხელეებს სასტიკად დასჯიდა და ჩვენც დაგვეხმარებოდა, აი როგორ ჰფიქრობდა ხალხი.

დიდი და ხანგრძლივი შრომაა საჭირო, რომ ხალხმა შეიგნოს ნამდვილი წყარო და მიზეზი მის ცხოვრების მოუწყობლობისა. დღეს ხარჯის ამკრეფი აწუხებს და ის ჰგონია პირველი დამნაშავე თავის გაჭირვებულ ცხოვრებისა, ხვალ ბოქაულმა სცემა სრულიად უმიზეზოდ და ეხლა ეს მიუჩნევია პირველ მტრად, ზეგ მოსამართლემ გაამწარა—მართალი საქმე წააგებინა და ამას სწყევლის და ლანძღავს, და იმას-კი ვერ მიმხვდარა, რომ ხარჯის-ამკრეფი, ბოქაული, უსამართლო მოსამართლე და სხვა ამ გვარები ბუნებრივი, თანადაყოლილი სენია ხალხის უუფლებობისა და იმისა, რომ მისი ბატონპატრონები და მმართველები პასუხს არ აგებენ არავის წინაშე: ვერ მიმხვდარა, რომ თავის ბატონი თვითონვეა და თავის საქმეს თვითონვე უნდა უძღოდეს არჩეულ, პასუხის მგებელ პირების საშუალებით.

ამიტომაც არის, რომ დიდის მადლობით იგონებს საფრანგეთის ერი იმათ, ვინც თავს იდვა ხალხის გაღვიძება და გამოფხიზლება, ვინც შეაგნებინა მას ნამდვილი მთავარი მიზეზი ცხოვრების მოუწყობლობისა.

მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის ერს ბევრი ჰყავდა ასეთი გამომფხიზლებელი და თვალების ამხელი, მაგრამ ყველაზე წინ თავის მნიშვნელობით სამი პირი იდგა—ვოლტერი, მონტესკიე და რუსსო.

ვოლტერი (1694—1778) ნამდვილი მებრძოლი ფილოსოფოსი იყო, დიდის ნიჭით და გამჭრიახობით აღჭურვილი.

მთელი მისი ცხოვრება ბრძოლა იყო და ამ ბრძოლის პირველი იარაღი მწარე, სასტიკი დაცინვა ყველაფრისა, რაც-კი ცხოვრების სიდუხჭირეს შეადგენდა, რაც ძალას აძლევდა ხალხის გამაუბედურებელ წესწყობილებას. დაცინვის ნიჭი, სარკასმი ვოლტერისა იმდენად ძლიერი იყო, რომ დღესაც საანდაზოდ ითვლება.

ორჯელ ციხეში ამოაყოფინეს თავი ვოლტერს, რამდენჯერმე საჯაროდ დასწვეს მისი ნაწერები, მაგრამ, თვითონ ვოლტერისა არ იყოს, ეს ვერაფერი „საბუთი“ იყო მის თხზულებათა წინააღმდეგ, პირიქით, კიდევ უფრო მეტ ძალასა და გავლენას სძენდა მათ.

პირველად ყოვლისა ვოლტერის მწარე და სამართებელივით მჭრელი ენა მიმართული იყო სასულიერო წოდებისა და არსებულ ეკკლესიის წინააღმდეგ. და ეს ეგრეც უნდა ყოფილიყო იმ დროს.

ძლიერი და მდიდარი სასულიერო წოდება ღმერთისა და ეკკლესიის სახელით ხელს აფარებდა ამ ქვეყნის ძლიერთა მტარვალობას, მფარველობდა ხალხის უვიცობას და გაუნათლებლობას, რადგან ამაზედაა დამყარებული მისი ძალა და გავლენა, შეუბრალებლად სდევნიდა სხვა სარწმუნოების აღმსარებელთ, სდევნიდა ყოველის საშუალებით თავისუფალ აზრს, რადგან ეს თავისუფალი აზრი ხალხის გამომღვიძებელი და განმავითარებელია. ვოლტერმა თავის შეუდარებელის ნიჭით ხალხის განათლებისა, თავისუფალ სინიდისისა და თავისუფალ აზრის სახელით, გამოააშკარავა გარყვნილება და ბოროტ-მოქმედება საფრანგეთის სასულიერო წოდებისა, საქვეყნოდ სასაცილოდ გახადა იგი და ამით საბოლოოდ დაუკარგა მას ხალხის თვალში ძველი გავლენა და პატივისცემა. ტყუილად როდი ამბობენ ფრანგები—ყველაზე საშიში სასაცილოდ გახდომა არისო. ვოლტერის ბასრმა ენამ სასიკვდილოდ დასჭრა საფრანგეთის სასულიერო წოდება და ეკკლესია და მის შემდეგ იგი აღარ გამობრუნებულა.

ადამიანის აზრი თავისუფალია. თავისუფლად აზრის გამოთქმისათვის არავინ არ უნდა ისჯებოდეს; თავისუფალია ადამიანის სინიდისიც—ვის როგორი სარწმუნოება მოსწონს, ის აღიაროს, აქ არც სასულიერო წოდებას, არც მთავრობას ხელი არა აქვს; ჩემი სარწმუნოება, ჩემი ღმერთი ჩემის სინიდისის საქმეა და სხვისი არავისი. თავისუფლებას ჰქადაგებდა მხურვალედ, გატაცებით ვოლტერი.

ვოლტერი კარგად ხედავდა, რომ საფუძველი სასულიერო წოდების ძალისა და გავლენისა ხალხის უვიცობა იყო და ამიტომაც თხოულობდა იგი ხალხის განთავისუფლებას; უამისოდ ფუჭი იქნება ყველაფერი, ხალხი თავს ვერ დაახწევს თავს ობობას ქსელს, რომელიც ასეთის ხერხიანობით აქვს გაბმული სასულიერო წოდებასაო. სასულიერო წოდებისა და არსებულ ეკკლესიის შერყევით ვოლტერმა შეარყია ძველის საფრანგეთის ის დაწესებულებაც, რომელიც დამყარებული იყო მაზედ; საფრანგეთის რევოლუციის ერთი ისტორიკოსი ამბობს—„ვოლტერის სარკასმების ხმაურობაზე შეირყა ეკკლესია და ეკკლესიასთან სამეფო ტახტიც“-ო.

ტყუილად კი არ სძულს და ეჯავრება სასულიერო წოდებას დღესაც შესანიშნავ, უკვდავ ფრანგის სახელი; ვოლტერის ნაწერები დღესაც „აკრძალულია“ სასულიერო მთავრობის მიერ. მაგრამ როგორც დაწვა არ იყო საბუთი, ისე, რასაკვირველია, არც აკრძალვა გამოდგება საბუთად ვოლტერის ნაწერების წინააღმდეგ.

მონტესკიე (1689—1755) სულ
სიათის მოღვაწე იყო. მართალია, ას
ნაწერები, სადაც სასაცილოდ არის გა
მაშინდელ საფრანგეთის ცხოვრების ს
და ნაკლი, მაგრამ მისი მნიშვნელობა
შია, რომელსაც „კანონების სული“
ეს წიგნი შესანიშნავი, ღრმა გამოკ
ხელმწიფო წეს-წყობილებისა, მას დი
გრძლივი გავლენა ჰქონდა საფრანგ
სხვა ქვეყნების პოლიტიკურ მოღვა
მწერლებზე.

როგორც ვიცით, საფრანგეთი ისეთ
მწიფო იყო, სადაც მეფეს ყველა უფლ
და და მის ქვეშევრდომებს კი არც ერ
და ხარჯის გადებისა და ჯარის კრება
სა; მეფე კანონმდებელიც იყო და კანონ
სრულებელიც, რასაკვირველია, თავის
ბის საშუალებით; მეფეში იყო თავ
მთელი სახელმწიფო მეუფება; ხალხი
მონაწილეობას არ იღებდა სახელმწიფ
რებაში. სადაც ასეთი წესია გამეფე
არ შეიძლება კანონიერება იქეს, რადგ

◆ კვირას, 13 თებერვლისათვის, დანიშნულია კერძო კრება ავლაბრის მცხოვრებთა წარმომადგენლებისა. წარმომადგენელთა კრებამ უნდა განიხილოს, სხვათა შორის, მოხსენება მამუკს სოფლის ერთის წარმომადგენლისა, რომ მეოთხე განყოფილების მომრიგებელი სასამართლო მე-7 და 8 ნაწილის შუაგულში გამართოს, რადგან დღეს მომრიგებელი სასამართლო დაშორებულია ამ კუთხის განაპირა მცხოვრებთათვის. ამავე კრებაზედ უნდა განიხილონ ნაფიც ვექილთა მიერ დაარსებულ კონსულტაციის განყოფილების დაარსების საქმე ამ კუთხის მცხოვრებთათვის.

◆ ავლაბრის მცხოვრებთა დეპუტაციამ 10 თებერვალს სთხოვა პოლიცმეისტერს, დასტოვოს ავლაბარში ბოქაული გომელაური. პოლიცმეისტერმა აღუთქვა თხოვნის დაკმაყოფილება.

◆ ტფილისის მოქალაქეთა ხარჯის ამკრებ მამასახლისის თანამდებობაზე კანდიდატად ასახელებენ ტფ. ქალაქის გამგეობის ბუხჰალტერს ხარაზიანს.

◆ როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრის სოფელ ქვიშხეთში წითელა გაჩენილა. წითელა ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებთაც მოსდებიათ.

ბაქოს ამბები

10 თებერვალს, ტფილისის ქალაქის მოურავის თაოსნობით, საბჭოს დარბაზში შეიკრიბნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლნი. ათბირი ჰქონდათ ბაქოში მომხდარ ამბების შესახებ. საჭიროდ სცნეს ამ შემაძრწუნებელ ამბის გამოძიება, ნამდვილ მიზეზების გამოკვლევა და დამნაშავეთა აღმოჩენა. წარმოითქვა სხვა-და-სხვა მოსაზრება. კრებამ დაადგინა, ამოირჩიოს განსაკუთრებული დეპუტაცია, რომელიც უნდა წარუდგეს კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს და სთხოვოს თვითონ წავიდეს ბაქოში ან გაგზავნოს რწმუნებული მოპირდაპირეთა შესარიგებლად. დეპუტაციის წევრებად არჩეულ იქმნენ: ქალაქის მოურავი ქ. ვერმიშევი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, სომეხთა ეპარქიის უფროსი, შეიხ-ულ-ისლამი, წარმომადგენელნი ჟურნალ-გაზეთობისა და ტფილისის ბანკებისა. შემდეგ კრებამ დაადგინა, აარჩიონ განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საკითხი კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების შესახებ. კრებაზე ლაპარაკი ჩამოვარდა საქმის გამოძიებაზე. ხალხში ხმაა გავრცელებული, რომ ნიადაგი განზრახ და მახერხებით არის შემზადებული. ჭეშმარიტების გამოსარკვევად კრებამ აარჩია ბიურო შემდეგის პირებისაგან: ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვისა, ა. ს. ბაბოვისა, თულაევისა, გ. ჯაბადარისა, ა. ი. ხატისოვისა და ანტ. ფურცელაძისაგან. ბიურომ უნდა შეისწავლოს მთელი ეს საქმე და მოიპოვოს ნამდვილი ფაქტები. დასასრულ კრებამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას, რომ ამ საქმის გამოსაძიებლად დაინიშნოს განსაკუთრებული კომისია სამი პირისაგან: გამომძიებლისა, სომეხთა და მაჰმადიანთა წარმომადგენელთაგან.

ამავე დღეს საღამოთი მოხდა ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება. კრებას აუარებელი ხალხი მოაწყდა, ტევა აღარ იყო, არც მაღლა ანდარაზე და არც ძირს დარბაზსა და ფოიეში. კრების დაწყებისას ქალაქის მოურავმა აცნობა საბჭოს, რაც აზრი ჰქონდა ბაქოში მომხდარ სომეხთა და მაჰმადიანთა შეტაკების შესახებ. შემდეგ მოურავმა წინადადება მისცა საბჭოს, დაზარალებულთ შემწეობა აღმოუჩინოს. საბჭომ ერთხმად დაადგინა, გადასდოს 3000 მან. ბაქოში დაშავებულთა, დაჭრილთა და დაზარალებულთა შესაწევად განურჩევლად ეროვნებისა. საბჭომ აგრეთვე დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ნება მიეცეს ხელის მოწერის გამართვისა. რადგან საღამოს ამბავი მოვიდა, რომ შეტაკება განახლდა, საბჭომ, ნიშნად მგლოვიარობისა, სხდომა შესწყვიტა.

ტფილისში ჩამოვიდნენ ბაქოდან გამოქცეული სომხები. ქალაქის გამგეობამ ესენი სტუმროებში მოათავსა და სთხოვა პოლიციას, დროებით პასპორტები არ მოსთხოვოს.

მოგვივიდა შემდეგი წერილი: „ვუერთდებით „ნოვ. ობოზ.“ მე-25 ნომერში ბ-ნ კრუშინსკის მიერ მოთავსებულ წერილს (ახლა „ცნობის ფურცელი“ № 2740, 11 თებერვლისა) და გაახლებთ ბაქოში დაღუპულთა სასარგებლოდ 5 მანეთს და 50 კაპ., რომელიც მოვაგროვეთ შემდეგ პირთა შორის: დათიკო ჯობაძე—50 კ., არტო არუთინოვი—50 კაპ., ივანე თარხნიშვილი—50 კ., სამსონ ბუკია—50 კ., ზაქარია ბერიძე—50 კ., გენო ნიჟარაძე—50 კ., ივანე კობაროვი 50 კ., მირზა ალი-ჰუსეინ-ოღლი—50 კ., გიორგი ბუჩუკურიძე—50 კ., მელიქ ელალიანცი—1 მ.

მელიქ ელალიანი“.

ამავე აზრით მივიღეთ აბრამ ტურიელისაგან—1 მან., ივანე კოთუასაგან—50 კაპ.

გუშინ 11 თებერვალს, ტფილისის ქალაქის მოურავმა დეპეშით აცნობა ბაქოს გავლენიან სომხებსა და მაჰმადიანებს ტფ. ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება 3000 მანათის გადადებისა და ხელი მოწერის გამართვის შესახებ. გუშინვე ქალაქის გამგეობამ სთხოვა გუბერნატორს ნება დართოს სისრულეში მოიყვანოს ქალაქის საბჭოს 10 თებერვლის გადაწყვეტილება.

გუშინ, 11 თებერვალს, დილაზე, ტფილისის ქალაქის მოურავმა მიიღო შემდეგი დეპეშა ბაქოდან ბ-ნ ტოპჩიბაშევისაგან: „მაჰმადიანთა და სომეხთა საბედნიეროდ, სომეხთა და მაჰმადიანთა ინტელიგენციის ერთსულ და ერთგულ მოქმედების წყალობით, დიდად სამწუხარო ამბები უკვე მიწყნარდა. ხვალ ამიერ-კავკასიის შეიხ-ულ-ისლამის მეთაურობით, ინტელიგენცია, სამღვდელოება და საპატიო პირნი კიდევ შემოუვლიან ქალაქს საბოლოოდ დასამშვიდებლად. დაარსებულ იქნება განსაკუთრებული კომიტეტი დაჭრილთა, ობოლთა და დაზარალებულთათვის შემოწირულებათა შესაკრებად. ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებს დაეგზავნა დამამშვიდებელი დეპეშები, რომ ბაქოში უკვე ჩვეულებრივი სიმშვიდე ჩამოვარდა“.

როგორც გავიგეთ, 10 თებერვალს საღამოთი ბაქოს გუბერნატორმა დეპეშით სთხოვა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს, რაც შეიძლება მალე, საჭირო ჯარი მოამშველოთ.

გუშინ, 11 თებერვალს, დილით სომეხთა ვანქის ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ბაქოში მოკლულ სომეხთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო ბევრი ხალხი, ქალაქის მოურავი და სომეხთა სასულიერო წოდების წარმომადგენელნი.

გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა მიიღო ბაქოში დაჭრილთა და ობოლთა სასარგებლოდ შემოწირულებანი: ელისბედ მირზოევისაგან—200 მან., ტრამვაის უსახელო საზოგადოებისაგან—200 მან., გ. მ. ალიხანოვისაგან—100 მან., ცეცხლისაგან დამზღვევ ტფილისის საზოგადოებისაგან—100 მან., ფუნიკულერის საზოგადოებისაგან—50 მან., ი. ნ. მარკოზოვისაგან—25 მან. სულ 675 მან.

ტფილისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, გუშინ მთელის დღით განთავისუფლებულ იქმნენ სწავლისაგან. მოსწავლენი თხოულობენ, სამშაბათამდე გაანთავისუფლონ.

როგორც ნამდვილად გავიგეთ, ბაქოში აპირებს ჩასვლას სრულიად სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ პირველი. ხრიმიანი ჯერ ტფილისში ჩამოვა, მერე ბაქოს წავა.

ბაქო (საკუთარის კორესპონდენტისაგან). 6 თებერვალს, დილის 11 საათზე შუა ქალაქში, პარაპეტზე მოჰკლეს სომხებმა ერთი მდიდარი თათარი, გვარად ბაბაევი. ამ თათრის მოკვლა, როგორც აღმოჩნდა შემდეგში, სისხლის აღების ნიშანი ყოფილა. იმავ საღამოს ასტყდა დამბაჩების საშინელი სროლა. ღამის $12^1/_2$ საათამდის სროლა არ შეწყვეტილა. მეორე დღეს, დილის 8 საათზე გიმნაზიაში მივეჩქარებოდი. საშინელი სიჩუმე იყო ქუჩებში. გავიარე კარგა გზა და ადამიანს არ შევხვედრივარ. ეჭვში შეველ—იქნება საათი მატყუებს-მეთქი. გავშინჯე, საათმა 8 ს. 20 წ. მაჩვენა. სხვამის ამ დროს დუქნები, მაღაზიები ღია ყოფილა; ახლა კი განტი-გუნტად აქა-იქ მარტო თათრების საწვრიმალო დუქნები იყო ღია, ხოლო სომხების დაკეტილი იყო. სპარსეთის ქუჩაზე რომ გავიარე, ორ ადგას რამდენიმე მოკლულ კაცის გვამი ეგდო პირქვე. დავაპირე უკან ამობრუნება, მაგრამ გაბედულობამ გამიტაცა და აჩქარებით გიმნაზიისკენ გავეშურე. გიმნაზიაში რომ მიველ, სწავლა დაწყებული იყო. კლასებში ძალიან ცოტა მოსწავლე იყო. პირველი გაკვეთილის შემდეგ ათის 20 წუთზე ქალაქში ასტყდა საშინელი სროლა. საზარელ სურათს წარმოადგენდა ამ ჟამად ბაქოს ქუჩები: სად დაჭრილები ეყარა, სად მკვდრები, ამკრეფავი და მშველელი აღარავინ იყო. ჩვენ თვალწინ, აგერ სარკმლიდან უცქეროდით, როგორ ესროდნენ ერთმანეთს რევოლვერებს, იქვე ბარბაცით ეცემოდნენ და საშინელის ტანჯვით ლევდნენ სულს. მორბოდნენ გულ-გახეთქილნი მშობლები გიმნაზიაში თავიანთ შვილების წასაყვანად, მაგრამ ისინიც აქ რჩებოდნენ, რადგან გუბერნატორმა შეატყობინა დირექტორს ტელეფონით, არავინ არ გაუშვათ გიმნაზიიდანო. საღამოს ხუთ საათამდის ვიყავით ამ საცოდაობაში, მშიერ მწყურვალენი. ხუთ საათზედ მოვიდა თვითონ გუბერნატორი ყაზახებით. დანიშნულ ქუჩებისკენ გროვ-გროვად, 20—25 გიმნაზიელს თავიანთ მშობლებით და მასწავლებლებით ისტუმრებდნენ და თან ყაზახები მისდევდნენ.

მოდგა რიგი ჩვენის გაცილებისა. შემოგვერტყა გარს ოცი ყაზახი, ჩვენ ჩავდექით შუაში და ისე გავემგზავრეთ სახლებისაკენ. გზა-გზა ისროდნენ ბანებიდან, აივნებიდან, სარკმლებიდან. რის ვაი ვაგლახით სახლს მივატანე: ცოლშვილის დარდი მქონდა. შინ ყველანი მშვიდობით დამხვდნენ, მაგრამ ფერ მიხდილნი, თვალცრემლიანნი: ცალკე ჩემი ჯავრი აწუხებდათ, ცალკე შიშის ზარი. საათის შემდეგ ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა, ღამემაც თითქმის ასე გაიარა.

7 თებერვალს, დილის 9 საათზე, თათრებს მოჰქონდათ აუარებელი ჩით-ჩუთობა, სკამები, ლამფები, დამტვრეული როიალი და სხვა ნივთები. სჩანდა, ვიღაცის სახლი აეკლოთ. ამ დღემაც ასე უბედურათ გაიარა: სროლა არ შეწყვეტილა. ჩვენს ეზოში ერთად ერთი კომლი სომეხი იდგა. სარდაფიდან თავი არ ამოუყვიათ. ღამე ბნელაში ისხდნენ.

8 თებერვალს დილიდანვე წაუკიდეს ცეცხლი სახლებს. ქალაქში საშინელი კვამლი იდგა. ჩვენც ყოველს საათს მოველოდით უბედურებას. ამ სამს დღეში არ მოგვიხუჭავს თვალი. სანოვაგის მყიდავი ან გამყიდავი აღარავინ იყო. ვისაც რა დაგვრჩა წინანდელი, იმით მივდიოდით ითლად. ყველა კარ დაკეტილში ვისხედით. სარკმლიდან გახედვა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან იქვე რევოლვერებით იდგნენ. იქნებოდა სწორედ საათის ოთხი, სახლის პატრონმა კარები დაგვიკაკუნა. გულ-გახეთქილი კარებისკენ გავექანე, მაგრამ კარების გაღება ვერ გავბედე; მან ხელით მანიშნა და შემომძახა: ყველაფერი გათავდა, სომხები და თათრები შერიგდნენო.

ქუჩები ბაქოსი წარმოადგენს საზარელ სანახავს: არ არის ქუჩა, სადაც 40—45 მკვდარი არა ეგდოს უპატრონოდ, ვერ ასწრებენ აკრეფას. რამდენიმე სახლი მინგრეულ-მონგრეულია. ერთის სიტყვით, ენა ვერ ასწერს ამ საზარელ სურათს. და თუ ასწერს ვინმე, უეჭველად ნერვებ დამშვიდებული უნდა იყოს და არა ჩემებრ დასუსტებული. კალამს ძლივს ვატარებ ქაღალდზედ.

გ. კვალიაშვილი

რუსეთის ქრონიკა

ტვერის ერობა. საგუბერნიო კრება გაიხსნა მ. ი. პეტრუნკევიჩის თავმჯდომარეობით (როგორც ვიცით, 1904 წლის 8 იანვრის უმაღლესს ბრძანებით ერობის მოქმედება შეჩერებული იყო). პირველად ულაპარაკნია ხმ. ი. კორსაკოვს—ჯერ კიდევ 9 იანვრის საშინელ ამბების (მუშების გაჟლეტა პეტერბურგში) გავლენის ქვეშ ვიმყოფებით, სხვა თუ არა შეგვიძლია-რა, ფული მაინც გადავდოთ იმ დაზარალებულ მუშების სასარგებლოდ, რომელნიც ტვერის გუბერნიიდან არიანო.

კუზმინ-კარავაევი შეეხო ერობისა და ადმინისტრაციის დამოკიდებულებას.—40 წელიწადია ერობა წამებულია, ყველაზე უფრო, რასაკვირველია, ტვერის ერობა, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ერობისა და სახელმწიფოს ინტერესების გაყოფა შეუძლებელია, და რომელსაც ყოველთვის მაღლა ეჭირა დროშა თავის ღირსებისა; ეხლა გაზაფხული გვიდგება, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ბიუროკრატიამ, რომელსაც გარეგანი ძალა აქვს, იცნო ერობის ზნეობრივი უპირატესობა. ყოველ შემთხვევაში მადლობა გვეთქმის შინაგან საქმეთა მინისტრის სვიატოპოლკ-მირსკისათვისო. ხმოსანმა კიდეც შეიტანა ერობაში შესაფერი წინადადება. სხვები არ ეთანხმებიან ამ ხმოსნების აზრს. ხმ. მიასნიკოვს არ მიაჩნია საკმარისად მარტო მატერიალური დახმარება დაზარალებულ მუშებისა; „მივმართავ გრძნობას, რომელიც უნდა მოქმედებდეს ყოველ პატიოსან კაცის გულში. რას ვხედავთ? შრომის ხალხი მივიდა მშვიდობიანის განზრახვით; ამ ხალხსაც ის ტკივილი ჰქონდა, რაც ჩვენა; მას უნდოდა მშვიდობიანის გზით გაეკეთებია ის, რაც ჩვენცა გვსურს; შეუძლებელია, რომ არ თანავუგრძნობდეთ მათ, და წინადადება შემომაქვს გამოვსთქვათ ეს თანაგრძნობა და პატივი ვცეთ ფეხზე ადგომით ყველა იმათ, ვინც 9 იანვარს დაიღუპა“. (ადგებიან ხმოსნები და თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება).

დემიანოვი წინააღმდეგია კუზმინ-კარავაევის წინადადებისა; „მჯერა, რომ სვიატოპოლკ-მირსკი მშვენიერი და კეთილი კაცია, მაგრამ მადლობაზე ეხლა ლაპარაკი შეუძლებელია. 9 იანვრის ამბები მოულოდნელი შემთხვევა კი არ არის, იგი სისტემის შედეგია, და რაკი სვიატოპოლკ-მირსკიმ ვერ მოახერხა ხელი შეეშალა ამ საშინელებისათვის, მადლობას საყვედურის ხასიათი ექნება... ჩვენ უნდა ვეცადნოთ, რომ 9 იანვრის ამბები არ განმეორდეს. ჩვენ უნდა ვუჩვენოთ, ვისაც ჯერ არს, რომ ის წესი, რომლის დროსაც ყველა მაღალი სასწავლებლები დაკეტილია, ნორმალური არ არის. ახალთაობა არ დასთანხმდება ისწავლოს ეხლანდელ პირობებში და ეს კი უწესოებას გამოიწვევს. არსებული წესწყობილება განხეთქილებას სთესავს ინტელიგენციასა და ხალხს შუა. ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ, რომ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად საზოგადოებას პოლიტიკური გარანტიები უნდა მიენიჭოს“.

ამ სიტყვის შემდეგ წამომდგარა ხმოსანი სტოლპაკოვი (ცნობილია როგორც უკიდურესი რეაქციონერი) და უკითხავს თავმჯდომარისათვის—ნუ თუ ხმ. დემიანოვის სიტყვაც კანონიერად მიგაჩნიათო. თავმჯდომარეს ღირსეულად უპასუხნია—კანონი მე მაკუთნებს იმის გარჩევას, ვინ უნდა გავაჩერო ლაპარაკის დროსა და ვინ არაო. სტოლპაკოვი განრისხებულა და გამოუცხადებია—ხმოსნობას თავს ვანებებო და წასულა.

შემდეგ ულაპარაკნია გლეხს კუდრიავცევს: როგორც გლეხი, უფრო მწვავედ ვგრძნობდი იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც 8 იანვრის ბრძანებამ შეჰქმნა; ექიმები სულ გარეკეს მაზრიდან, აგრეთვე მოექცნენ საუკეთესო მასწავლებლებს; 12 დეკემბრის ბრძანება გვპირდება ძირითად რეფორმას საგლეხო სამმართველოში; მე იმედი მაქვს, რომ ინტელიგენცია მიიღებს ღონისძიებას ამ რეფორმების განსახორციელებლად; განსაკუთრებით საჭიროა, რომ გლეხს შეეძლოს თავისუფლად სწავლა და თავისუფლად კითხვაო.

როდიჩევს ამაზედ უპასუხნია: „თქვენ გლეხების წარმომადგენელი ხართ, მე თავად-აზნაურობისა; შევუერთდეთ ყველა —წოდებანი უფლებისა და თავისუფლებისათვის! ხელს ნუ შეგვიშლის ცილის წამება, რომლითაც სცდილობენ განხეთქილება დასთესონ რუსის ხალხში. მხოლოდ ერთსულობა ხალხისა, კავშირი ყველა მამულისშვილებისა მისცემს ხსნას სამშობლოს. მოისპოს ცილისწამება, რომელსაც ხალხის მტრები ავრცელებენ“.

შემდეგ ულაპარაკნია თითონ თავმჯდომარეს: „ყოველთვის კანონიერების მომხრე ვიყავი, მაგრამ არის ხოლმე ისეთი მომენტები, როცა ფორმალური მოთხოვნანი უკან უნდა დავაყენოთ. და მერე განა კანონთან გვაქვს საქმე? კანონს დარჩა მხოლოდ კანი, ლანდი. ამ ლანდის გულისთვის ჩვენ არც შეგვიძლია გავჩუმდეთ. ხოლო მიზანი არც პირადი ინტერესებია და არც პოლიტიკანობა. ჩვენ გვალაპარაკებს მამულისშვილური გრძნობა და უნდა ვილაპარაკოთ, თუნდ პასუხის გებაც გვხვდეს წილად. ვის შეუძლია დღეს გულ-წრფელად სთქვას, რომ ჩვენი ცხოვრება წესიერია? მრეწველობა შეჩერდა, სწავლა აღარ არის... უნდა ვსთქვათ, რასაც ვფიქრობთ, რაც არ უნდა მოგველოდეს. თვითონ მთავრობამ აღნიშნა რუსულ წეს-წყობილების უხეირობანი, მხოლოდ, სამწუხაროდ, არ აირჩია ნამდვილი გზა მათ გასასწორებლად. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მხოლოდ მთელ ხალხს შეუძლია აქ დახმარება“. სიტყვის გათავების შემდეგ პეტრუნკევიჩმა წაუკითხა კრებას მისგან შემუშავებული რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, შინაური მშვიდობიანობა და მტკიცე წესიერება შეიძლება დამყარდეს მხოლოდ უფლების, განათლების და თავისუფლების საფუძველზე; ტვერის საგუბერნიო ერობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ ერთად-ერთი გზა სამშობლოს ხსნისა არის მოწვევა თავისუფლად არჩეულ სახალხო წარმომადგენლებისა ერთ მუდმივ დაწესებულებად, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კანონ-მდებლობასა, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვასა და კანტროლში ადმინისტრაციის მოქმედებაზე. კრებამ მიიღო ეს რეზოლიუცია დიდის უმრავლესობით. („რუს“).

საერო კრება (ზემსკი სობორ.) როგორც „რუს“-ი გადმოგვცემს, საერო კრებას მიმდინარე წლის მარტში მოიწვევენ. ამ კრებაში მონაწილეობას მიიღებენ—გუბერნიის

ერთის პირისაგან არის დამოკიდებული, ისე- ს პირისაგან, რომელიც არავის წინაშე არ ბს პასუხს.

მონტესკიემ თავის განთქმულ წიგნში თვალ- დაუყენა მეთვრამეტე საუკუნის ფრანგებს ათი კანონიერ, უფლებრივ სახელმწიფოსი. სახელმწიფოს სამი დიდი მოვალეობა აწევს აშე თავის წევრებისა: კანონების გამოცემა, ი ასრულება და მოსამართლეობა. ეს სამი ვალეობა უთუოდ სამ სხვა-და-სხვა დაწესე- ისრობს, ისე სახელმწიფოში კა- შეუძლებელია. მეფე ასრუ- ვეთიონაც ემორჩილება ამ კა- ვლა, ახალის გამოცემა სა- სებულების საქმეა; მოსამარ- დამოუკიდებელი დაწესებულე- ს; თუ მოსამართლე დამო- ხელ-ქვეითია, სამართალი ო, რადგან ხელ-ქვეითი უფ- ს ნებაზე მიდის ძალა-უნე-

მონტესკიე თავის თანამემა- რკვეველს აცლიდა არსებულ ეაც კანონიერების მაგიერ მომრეობა იყო გამეფებული. ონმდებელი სახელმწიფოში? იძლევა ჟან-ჟაკ რუსსო ლისი მეუფება, სუვერნი- კუთვნოდესო, ამტკიცებდა ოდ მმართველი და კანო- კანონმდებელი-კი ხალ- უფლება მხოლოდ მას ეკუთვნის; მაგრამ ყოველი კანონმდებლობის საფუძველი უნდა იქნეს თავისუფლება და თანასწორობა; თუ ეს პირობა არ არის, ისე ხალხი თავს ვერ დაახწევს გაჭირვებულ მდგომარეობასა. მარტო ამ ქადაგებით არ უმოქმედნია რუსსოს, მისი კრიტიკა არსებულის წესწყობილებისა ისე გულწრფელად, ძლიერად და მხურვალედ იყო გამოთქმული, რომ ყველას იტაცებდა და აიძულებდა ახალის, სამართლიანის წესის შემოღებას.

ვოლტერს, მონტესკიეს, რუსოს მხარს და ხმას აძლევდნენ საფრანგეთის სხვა შესანიშნავი მწერლები; ყველა თხოულობდა თავისუფლებისა და კანონიერების დამყარებას; ყველა უკმაყოფილო იყო არსებულის წესწყობილებით; ყველა მოუთმენლად ელოდა მის შეცვლას.

ეს განმათავისუფლებელი გონებრივი მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ამერიკის ახალშენები (კოლონიები) აუჯანყდნენ ინგლისს და თავისუფლების დროშა აფრიალეს. ამერიკის აჯანყების გავლენა მაშინდელ საფრანგეთზე ღრმა და ხანგრძლივი იყო. ფრანგები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ამ აჯანყებაში, მაგრამ მარტო იმიტომ-კი არა, რომ ინგლისლები სძულდათ. მარკიზი ლაფაიეტი, შემდეგ ცნობილი მოღვაწე დიდის რევოლიუციისა, წავიდა ამერიკაში მას შემდეგ, რაც წაიკითხა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, სადაც, სხვათა შორის, სწერია: „...უეჭველ და ცხად ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და რომ ყველას მიანიჭა შემოქმედმა ზოგი წაურთმეველი უფლება; ამ უფლებათა შორის პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერების ძებნა; ამ უფლებათა განსახორციელებლად ადამიანებმა შექმნეს მთავრობა; ყოველ იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა წინ ედობება იმ მიზანს, რისთვისაც შეუქმნიათ, ხალხს უფლება აქვს შესცვალოს ან მოსპოს იგი და დააწესოს ახალი მთავრობა ისეთ საფუძველზე, რომელიც უკეთ შეუწყობს ხელს მის კეთილდღეობას... ყოველ ხალხს არა თუ უფლება აქვს, მოვალეობაც აწევს დაამხოს ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხის დამონებას სცდილობს, და შემოიღოს ისეთი წესწყობილება, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მას ასეთის მთავრობისაგან“.

ეს დეკლარაცია მეტად გავრცელებული იყო საფრანგეთში და ბევრი ფრანგი გაიტაცა, იარაღი აიღებინა ხელში და ამერიკაში წაიყვანა ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საფრანგეთშიო,—სწერდა ფრანკლინი 1777 წელს,—ის აზრია გავრცელებული, რომ „ჩვენი (ამერიკელების) საქმე კაცობრიობის საქმეა და ვიბრძვით არა მარტო ჩვენის თავისუფლებისათვის, არამედ ევროპის თავისუფლებისთვისაც“-ო. მეფეს, თვითნება მთავრობას ებრძოდნენ ამერიკელები და შეგნებული ფრანგებიც მხურვალედ თანაუგრძნობდნენ მათ, რადგან თვითონაც იტანჯებოდნენ იმავ მეფისა და თვითნებობის უღელ ქვეშ. ინგლისის მეფეს იმდენი არ დაუშავებია ამერიკელებისათვის, რამდენიც ევროპის გვირგვინოსნებმა დაუშავეს თავიანთ ქვეშევრდომებსო,—სწერდა მირაბო 1882 წელს. თავისუფლების მომხრენი გამხნევდნენ, ამერიკის აჯანყებამ იმედი ჩაუნერგათ გულში, რომ, რაც წინად ფუჭ ოცნებად იყო მიჩნეული, დღეს შეიძლება მისი განხორციელება.

ერთი საყურადღებო გარემოება უნდა აღინიშნოს ეხლავე, რომ შემდეგ ადვილად გავიგოთ ზოგი მოვლენანი დიდის რევოლიუციისა: თავისუფლებისა და თანასწორობის ეს მქადაგებელნი და მოტრფიალენი არ იყვნენ ნამდვილი დემოკრატები, ამ სიტყვის ეხლანდელ მნიშვნელობით. მართალია ესენი თხოულობდნენ, რომ ხალხს მიეღო მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ხალხი ყოფილიყო კანონმდებელი, მაგრამ თვითონ ეს სიტყვა სხვანაირად ესმოდათ: უვიცი, გაუნათლებელი და ღატაკი ნაწილი საფრანგეთის ერისა, ე. ი. უმრავლესობა არ შედიოდა მეთვრამეტე საუკუნის მქადაგებელთა „ხალხში“; მეტად უვიცი, განუვითარებელი და მოუმზადებელია ეს უმრავლესობა და არ გამოდგება სახელმწიფო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებადო. ეს კიდევ ცოტაა: ვისაც ქონება არა აქვს, ის ვერც იქნება ნამდვილი მოქალაქე და მამულიშვილიო,—ამტკიცებდნენ მეთვრამეტე საუკუნის მოაზრენი. ასე რომ, როცა ხალხის მეუფებაზე, სუვერნიტეტზე ლაპარაკობდნენ, იმას როდი ჰფიქრობდნენ, ნამდვილი დემოკრატია დაემყარებინათ, შემოეღოთ საყოველთაო საარჩევნო უფლება. ამერიკაშიაც ხომ ეგრე იყო და იმ დროს ამერიკის მაგალითი ბევრს ნიშნავდა. ყველაზედ დემოკრატი იმ დროს ის იყო, ვინც თხოულობდა პოლიტიკურ უფლებას ყველა მესაკუთრეებისათვის, დიდისა და პატარისათვის. ამაზედ შორს ვერ მიდიოდა იმ დროის დემოკრატიზმი. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს, თუ გვსურს გავიგოთ ზოგი მხარე დიდის რევოლიუციისა.

რა-კი ნამდვილი დემოკრატები ვერ იყვნენ მეთვრამეტე საუკუნის მწერლები და მოაზრენი, არც იმას ფიქრობდნენ, რომ შემოეღოთ ნამდვილ დემოკრატიის ერთად-ერთი შესაფერი სახელმწიფო წესწყობილება—რესპუბლიკა; მათი სურვილი იყო მეფობის რეფორმა და არა მოსპობა; როგორც დემოკრატები არ იყვნენ, ვერც რესპუბლიკელებს ვხედავთ.

მაგრა რაკი ხალხის სუვერნიტეტის აზრი გავრცელებული იყო, რაკი თანასწორობის პრინციპი მიღებული ჰქონდათ, ხალხი ადვილად ვერ შეურიგდებოდა საფრანგეთის ორ, უფლების მხრივ, უთანასწორო ნაწილად გაყოფას. მართალია, ერის უმრავლესობა უვიცი და გაუნათლებელი იყო, მაგრამ თავისუფლებისა და თანასწორობის ქადაგებამ პატარა ღატაკ ქოხამდეც მიაღწია. და არც ისე ძნელია ამ აზრების შეთვისება.

მეორე მხრივ, როგორც ვსთქვათ, რესპუბლიკელებიც არ იყვნენ, მაგრამ თუ მეფე, რომელიც, მათის შეხედულებით, ისტორიით დანიშნული იყო საფრანგეთის ხელმძღვანელად, ვერ შეასრულებდა თავის დანიშნულებას, გადაეღობებოდა ერის ინტერესებსა და, მაგალითად, უღალატებდა თავის პირველ მოვალეობას—საფრანგეთის დამოუკიდებლობის დაცვას უცხოელებისაგან, საზოგადოებრივი აზრი ისეთი იყო, რომ რესპუბლიკასაც ადვილად მიიღებდნენ. მაშასადამე, ეს მხარე მოძრაობისა დამოკიდებული იყო თვით მეფისა და მთავრობისაგან, ამათ ქცევისაგან. როგორი იყო ეს მეფე და მთავრობა? რას ფიქრობდნენ ლუი მეთექვსმეტე და მისი მინისტრები? რომელ გზაზე აპირებდნენ დადგომას?

ამაზედ შემდეგ წერილში იყოს.

თავად-აზნაურობის მარშლები, საგუბერნიო ერობათა თავმჯდომარენი, საგუბერნიო ქალაქების მოურავები; გარდა ამისა ყოველ საერობო გუბერნიიდან მიიწვევენ თითო წარმომადგენელს; ამათ აირჩევენ ერობის საარჩევნო კრებებზე; რაც შეეხება არა ერობიან გუბერნიების წარმომადგენლებს, წესი ამათ არჩევისა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. რიცხვი ყველა წევრებისა 400 არ აღემატება.

მღვდელი გაპონი, როგორც „სლოვო“ იტყობინება, შვეიცარიიდან პარიზში მისულა და ეხლა იქ იმყოფება.

გაფიცვა ირკუტსკში ძალიან გაძლიერებული ყოფილა; ჯარის კაცები გაფუჭებულ რკინის ლიანდაგს აკეთებენ. როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ძალიან ეშინიანთ რკინის გზის დიდ ხიდების გაფუჭებისა მდ. ობსა და ენისეიზე. („სლოვო“).

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. „რუს. ვედ.“-ის კორესპონდენტი გვაუწყებს, რომ საფრანგეთის ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს კლემანსოს შეაქვს სენატში კანონ-პროექტი მცხოვრებთა პირად თავისუფლებისა და ხელ-შეუხებლობის უზრუნველსაყოფელად. ამ ჟამად ფრანგებს, ნაპოლეონის კანონის ძალით, თითქმის არავითარი საშუალება არა აქვთ პასუხის გებაში მისცენ ის მოხელეები, რომელნიც არღვევენ მკვიდრთა უფლებას. როცა ბიუროკრატიის ძალ-მომრეობის მსხვერპლი საჩივარს აღძრავს სასამართლოში ამა თუ იმ მოხელის წინააღმდეგ, მოხელეები ამ საჩივარს განსაკუთრებულ საადმინისტრაციო სასამართლოს გადასცემენ ხოლმე, ე. ი. ადმინისტრაცია თვითონ არჩევს თავის დამნაშავე მოხელეთა საქმეს და, რასაკვირველია, მიკერძოებით, ცალ-მხრივად ადგენს განაჩენს. მართალია, საფრანგეთში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაა, ჟურნალ-გაზეთები სასტიკად თვალ-ყურს ადევნებენ მთავრობის მოხელეთა მოღვაწეობას, გაზეთს არ ამახინჯებს იქ ცენზურა, თავისუფალ აზრის გულ-ღვიძლის ამომგდები ორგანო, მთავრობის თავის-კერძო მისწრაფებათა ერთგული დარაჯი. მაგრამ საფრანგეთში, სადაც ბურჟუაზიას, შეძლებულ ხალხს მმართველობის ადვირი უჭირავს ხელში, თავისუფალი პრესსაც ვერ არჯულებს მთავრობის მოხელეთ. ხშირად [illegible] ეკიდებიან ისინი მცხოვრებთ, ყველაზე [illegible]-კი მუშებს გაფიცვებისა და დემონსტრაციების დროს, ჯარში-კი მოსამსახურეთა [illegible] სრულებით არ არის უზრუნველყოფილი. ხშირად გამოქვეყნებულა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ სასტიკად ეკიდება სამხედრო მთავრობა ჯარის კაცებს. დრეიფუსის საქმემ ხომ ბევრი იარა გამოამჟღავნა საფრანგეთის ცხოვრებაში. ამ საქმის განხილვის შემდეგ პარიზში დაარსდა საზოგადოება, ეგრედ წოდებული „კავშირი სასამართლოს, ადმინისტრაციისა და სამხედრო მთავრობის ძალმომრეობისაგან ადამიანის უფლებათა დასაცველად“. კავშირის მიზანია ხელი ჩასჭიდოს ყველა საქმეს მოხელეთა მიერ მკვიდრთა უფლების დარღვევის შესახებ, გამოააშკარავოს ტყუილ-უბრალოდ დევნილთა და დასჯილთა სიმართლე. კავშირი მოკლე ხანში ერთობ გადიდდა, რაიცა მოწმობს, რომ იმის მოქმედებისათვის ფართო ასპარეზია საფრანგეთში. ამ კავშირის დამაარსებელნი პარიზის საზოგადოების ცნობილი წევრები არიან—პროფესსორები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. კავშირის წევრთა მოქმედება მით უფრო არის საყურადღებო, რომ ისინი დასის, პარტიის ინტერესით არ არიან გატაცებულნი, ერთნაირად იცავენ სხვა-და-სხვა დასებისა და მიმართულების კაცებს მთავრობის მოხელეთა მიერ შეურაცხყოფილ. პირველად კავშირში რამდენიმე ათი წევრი იყო, ეხლა-კი მას მთელ საფრანგეთში 500 განყოფილება აქვს, რომლებშიაც 55 ათასი წევრი ითვლება.

შარშან „გრაჟდანინი“-ს რედაქტორი მეშჩერსკი პარიზში იყო და ნათლად დაინახა, როგორ შესუსტდა იქაურ საზოგადოებაში პატივისცემა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის მიმართ. რუსეთიდან მთავრობის მიერ დევნილმა ბევრმა განათლებულმა კაცმა შეაფარა თავი საფრანგეთის დედა-ქალაქს. ფრანგთა საზოგადოება, რასაკვირველია, ნდობითა და პატივის ცემით მოეკიდა უსამართლოდ დევნილთ, შეიტყო მათგან ნამდვილი ამბები რუსეთის მთავრობის ძალ-მომრეობის შესახებ და ცოტა არ იყოს გული აუცრუვდა ასეთ მთავრობასთან კავშირზე. ბოლო დროს პეტერბურგში მომხდარმა ამბებმა ხომ სრულებით დასცეს რუსეთის მთავრობის პრესტიჟი უცხოეთში. ყველაზე უფრო სოციალისტები სცდილობენ საფრანგეთში დამპალი ძირი ამოუთხარონ საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობათა კავშირს. სხვათა შორის, სოციალისტების მეთაური ჟან ჟორესი გამართავს ამ მოკლე ხანში პარიზსა და პროვინციებში 17 კრებას, რომელთა მიზანი იქმნება—აგიტაცია საფრანგეთ-რუსეთის კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისი. ლონდონში გამოქვეყნებულია საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი უჯდება ინგლისს მხედრობისა და ფლოტის შენახვა. 1886 წელს ინგლისმა დახარჯა ფლოტზე 17 მილიონი გირვანქა სტერლინგი (170 მილიონი მან.). ჯარზე კი—13 მილ. გირვ. სტერლინგი—130 მილიონი მანათი., სულ 300 მილიონი მანეთი., გასულ წელს კი ინგლისს მხედრობა და ფლოტი 760 მილიონი მან. დაუჯდა. მოყვანილია შემდეგი საოცარი მაგალითი, რომელიც ამტკიცებს, თუ როგორ უაზროდ ხარჯავს მთავრობა ხალხისაგან ამონაწურ ფულს. 1887 წელს ინგლისში აშენებული 38 კრეისერი ამ ბოლოს დროს უვარგისად იცნეს, ე. ი. ამ კრეისერებზე დახარჯული ფული, 360 მილ. მან. წყალში გადაყრილი გამოდგა. ამ ბოლო დროს ადმირალმა ფიშერმა დაიწუნა 130 სხვა და სხვა სამხედრო გემი, მათ შორის ზოგიერთი ახალ-აშენებულიც. ამ გემებს ეხლა დაამტვრევენ. დაწუნებულ გემთა შორის ჯავშნიანი გემები და კრეისერებია, რომელთა აშენება 500 მილიონი მან. დაჯდა. ინგლისის ლიბერალთა დასი ამ ცნობებით სარგებლობს, რათა განახორციელოს თავისი განზრახვა—სამხედრო ხარჯების შემცირება 300 მილიონ მანეთამდის. მაშინ შეძლება მიეცემა მთავრობას გააუქმოს ჩაისა, შაქარსა და ქვა-ნახშირზე დაწესებული გადასახადი, რაიცა მძიმე ტვირთად აწევს ღარიბ ხალხსა.

გარდა ამისა ლიბერალები იცავენ ვაჭრობის თავისუფლებას, ბაჟების დაწესების წინააღმდეგნი არიან. ებრძვიან სამღვდელოებას, რომელსაც კონსერვატიულმა სამინისტრომ გავლენა მოუპოვა ზოგიერთ სკოლებში. ლიბერალთა პროგრამაში შეტანილია მოთხოვნილება, რომ სკოლებს, რომელთაც საზოგადოება თავის ხარჯით ინახავს, ამავე საზოგადოებამ გაუწიოს კონტროლი.

ირლანდიის ლიბერალთა დასი თვითმმართველობას ჰპირდება ირლანდიელებს და ბურებს სამხრეთ აფრიკაში, მსგავსად კანადისა და ავსტრალიის თვითმმართველობათა.

იტალია. რომიდან იწერებიან უცხოეთის გაზეთებში, რომ კანონ-პროექტი სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების შესახებ საფრანგეთში მოულოდნელი მოვლენა არ იყო ვატიკანისათვის. პაპი და იმისი მომხრენი მხოლოდ იმასა სწუხან, რომ სამღვდელოება საფრანგეთში თანხმად არ მოქმედებდა, შუღლი და დრტვინვა იყო თვით სამღვდელო პირთა შორის, ასე რომ სამღვდელოებამ ძლიერი კავშირი ვერ შეჰქმნა მთავრობის წინააღმდეგ, თავისი სუსტი მხარე აჩვენა მოწინააღმდეგეთ და ამიტომ ჩამოქვეითდა. ახლა რომის პაპი საბოლოო აქტს ელის—ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებას საფრანგეთში და მაშინ აპირებს რაღაც ჯერ-ჯერობით უცნობ გადაწყვეტილებით გამოლაშქრებას ო.

გერმანია. როგორც ამას წინად ვაუწყეთ მკითხველებს, რურის ბასეინის მღვიმე-მაღაროების დიდძალ მუშათა გაფიცვა დასრულდა. ვესტფალიის გაზეთებში ცნობებია მოყვანილი იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა ამ გაფიცვას. გაფიცვის დროის განმავლობაში მუშებმა დაჰკარგეს ქირა—11,800,000 მარკა, (თითქმის 6 მილიონი მან.); ამავე დროს ამოუღებელი დარჩა 15 მილიონ მანეთად ღირებული ქვა-ნახშირი. გაუგზავნელ ქვა-ნახშირის გამო რკინის გზამ იზარალა 5 მილიონი მან. და სხვა. საზოგადოდ მატერიალური ზარალი დიდია, მაგრამ, ნ. ჟ-ის კორესპონდენტის სიტყვით, ზნეობრივი შედეგი ზედ-მეტად ჰფარავს ამ ზარალს. გაფიცვამ მთელი გერმანია აამოძრავა. ყოველი მხრიდან დახმარებას უგზავნიდნენ გაფიცულთ. თვით გაფიცულ მუშათა შორის დიდი თანხმობა და საურთიერთო დახმარება იყო გამართული. თითქმის 600 ათასი მანეთი დახარჯეს მუშებმა გაფიცვის დროს საურთიერთო დახმარებაზე და ამით უფრო განამტკიცეს კავშირი ერთმანეთ შორის.

წერილები

სოფ. ლეხაური (გურია). ერთი წელიწადია მას შემდეგ, რაც ჩვენში დიდს ყურადღებას აქცევენ ჟურნალ-გაზეთების კითხვას. მოვა გაზეთი თუ არა, მაშინვე, ვინც ახლო-მახლო იქნება, ყველა შეგროვდება და გულ მოდგინედ ისმენს გაზეთის კითხვას. ჩვენ, ლეხაურლები ხუთი, ვერსის მანძილზე ვართ ოზურგეთსა და ფოშტაზე, მაგრამ მეტად ავი-დარი თუ არ არის, ყოველ დღე ვღებულობთ გაზეთს. ვინც ჩვენი სოფლიდან მიდის ქალაქში, დიდის ხალისით მოაქვს გაზეთი, რადგან ყველას უნდა ახალ ამბის გაგება. ცამეტი დღეა, რაც ხანი გაზეთი არ გამოსულა, ცამეტ წელიწადად ჩასთვალა საზოგადოებამ. ყოველ დღე დადიოდნენ ქალაქში, მაგრამ დაღონებულნი ბრუნდებოდნენ, რადგან არ მოსულაო, ეუბნებოდნენ. ზოგნი ამბობდნენ, ასოთ-ამწყობთაც უნდათ დასვენება და ამიტომ არ გამოდისო. ზოგნი ამბობდნენ, შეიძლება სულ დახურესო. ორს თებერვალს სანაძლაო შეიქნა, შეიძლება დღეს იყოს გაზეთიო. მართლაც ორს თებერვალს გვეღირსა გაზეთი და შეიქნა დიდი გაწამაწია. ერთქმანეთს ართმევდნენ, ზოგნი აფთიაქის მაღაზიაში გარბოდნენ, სადაც ნომრები იყიდება. იქაც ცოტა დარჩა და გაყიდულიყო. იანვარში დიდი თოვლი დასდო ჩვენში. მაგრამ შუა იანვრიდან კარგი ამინდი დადგა, გაზაფხულივით, და ცოტა აკლია გაქრობას. სოფლის მცხოვრები იმედს არ ჰკარგავს, წელს მაინც კარგი მოსავალი იქმნებაო.

ნიაბაურელი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 თებერვალი

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობები შორეულ აღმოსავლეთიდან 10 თებერვალს არ მოსულა. მისი უმაღლესობა დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული ინიშნება შეფად კიევის გენერალ-ფელდმარშლის თავად ნიკოლოოზ რეპნინის, ეხლა დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მე-5-ე გრენადერის პოლკისა, რომელსაც ამის შემდეგ ეწოდოს კიევის გენერალ-ფელდმარშლის თავად ნიკოლოოზ რეპნინის მისი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულის საგრენადერო მე-5 პოლკი. დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების გამო ტობოლსკის მისის უმაღლესობის მე-38-ე ქვეითა პოლკს დღეის იქით ეწოდოს ტობოლსკის მე-38-ე ქვეითა პოლკი.

ტოკიო. ჩქარა გამოშვებულ იქნება იაპონიის მეოთხე 6%-იანი სესხი ასი მილიონი იენი. გამოსაშვები ფასი 90%. სესხი უნდა დაიფაროს შვიდი წლის განმავლობაში შემდეგი მეხუთე სესხი გამოშვებულ იქნება ორი ან სამი თვის შემდეგ.

ნიუ-იორკი. კორესპონდენტის სიტყვით (?), რომელსაც „ლაფანის სააგენტო“ იუწყება, ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტროსთვის უცნობებიათ, რომ იაპონიას სურს იქონიოს მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ, მაგრამ მის დაწყებამდის იაპონია საჭიროდ სთვლის დაადგინოს, რომ კორეია დარჩეს მის კონტროლის ქვეშ და დაცულ იქნეს მანჯურიის მთლიანობა.

თეოდოსია. სტესელი მეუღლით დღეს საღამოს ცხრა საათზე მიემგზავრება პეტერბურგს.

გელსინგფორსი შორეულ აღმოსავლეთიდან მოვიდა დაჭრილთა ერთი ჯგუფი.

ლონდონი. როგორც „ცენტრალ-ნიუსი“-ს სააგენტო იუწყება, რუსის აგენტებს ლონდონში მიუღიათ პეტერბურგიდან ინსტრუქციები, ნუღარ დაიქირავებთ მენახშირეებს ვლადივოსტოკისთვინაო.

ტოკიო სამი ათასი ყაზახირუსი ორი ზარბაზნით გამოჩნდა გათენებისას 8 თებერვალს ხაიჩენის სამხრეთით და იერიში მიიტანეს იაპონიის სადარაჯო სადგურზე ტანზიაუნში, ძველსა და ახალ ნიუჩუან შორის. რუსები მოგერებულ იქნენ; მათ გააფუჭეს რკინის გზა და ტელეგრაფი, მაგრამ ზიანი ჩქარა იქნა გასწორებული.

11 თებერვალი

ლონდონი. კოლონიების მდივანმა გამოაცხადა პარლამენტში, სამხრეთ აფრიკაში დაუბრკოლებლად შეუშვებენ 55 ათასამდე ჩინელ მუშას. შეიძლება თვით მთავრობამ განსაზღვროს ეს რიცხვი ჩინელ მუშათა.—სამხედრო მინისტრმა პარლამენტში შეკითხვაზე განაცხადა, ჩვეულებრივად მილიციის ჯარი 100 ათასი კაცისაგან შესდგებოდა, ამ ჟამად კი 35 ათასი კაცითაა ჩვეულებრივზე ნაკლებით. ამდენად შემცირდა ჯარის რიცხვი ტრანსვაალის ომის შემდეგ. ამ გარემოებას იმას აწერენ, რომ სამხედრო პირთ ეხლა ბევრად უფრო სასტიკად ეკიდებიან· ყველა ეს ამტკიცებს, როგორ გაუჭირდება ინგლისს სამხედრო სამსახურის პირობათა გაუმჯობესობა, თუ სავალდებულო სამხედრო ბეგარა არ შემოიღეს, რომელსაც თვითეული ინგლისელი ზიზღით ეკიდება.

ბერლინი. ფილადელფიის უნივერსიტეტმა (ამერიკაშია) აირჩია გერმანიის იმპერატორი უფლებათა დოქტორად. იმპერატორმა დეპეშა გაუგზავნა უნივერსიტეტს და წარმატება უსურვა.—ავსტრიასთან სავაჭრო ხელ-შეკრულობა საბოლოოდ მიღებულ იქნა 296 ხმის უმეტესობით 79-ის წინააღმდეგ—სელჩოს ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ: მთელი სადიპლომატიო კორპუსი, სამეფო კარი და არმიის დეპუტაცია. იმპერატორის წარმომადგენლად იყო პრინცი იოახიმ ალბრეხტი. იმპერატორმა დეპეშა გაუგზავნა ბიულოვს გულწრფელის მილოცვით. დეპეშაში იმედია გამოთქმული, რომ ახალი სავაჭრო ხელშეკრულობანი უფრო განამტკიცებს გერმანიის კეთილდღეობას, იმპერატორი ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებას აწერს ბიულოვის სახელმწიფო ნიჭს.

ხორლი. რადგანაც ახლო მომავალში ნებართვას მიიღებენ გაიყვანონ დონი—შავი ზღვის რკინის გზა მთავრობის გარანტიით ერთ-ერთ მოჯიბრე ნავთ-სადგურებზე ხორლზე ან სკადოვსკზე, წარმომადგენლნი, გემთა მიმოსვლის საზოგადოების სავაჭრო ზღვაოსნობის უმთავრესი სამმართველოსი და უმთავრესი ჰიდროგრაფიული სამმართველოსი, ყოველ მხრივად იკვლევენ ხსენებული ნავთ-სადგურების პირობებს.

პეტერბურგი. მოხდა პირველი სხდომა საგანგებო რჩევისა ბეჭდვითი სიტყვის ახალი წესდების პროექტის შედგენის შესახებ კობეკოს თავმჯდომარეობით. რჩევამ, ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ერთხმად ადიარა ცენზურობა როგორც სატახტო, აგრეთვე პროვინციალურ პერიოდული გამოცემებისა და პასუხის გება მათი მხოლოდ სასამართლოს წინაშე. 6 იანვარს მომხდარი უბედური შემთხვევის გამო ეხ სამხედრო სამართალში მისცეს პირველი ბატ რეის გვარდიის საცხენო-არტილერიის ბრიგ დის კამანდირი კაპიტანი დავიდოვი, შტაბს-კაპიტანი კარცოვი, პოდპორუჩიკები როტი პირველი და როტი მეორე და სამი ჯარის-კაცი და აგრეთვე საგენერალო შტაბის პოდპოლკოვნიკი პოლოვცოვი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

10 თებერვალი.

ადენი. შაგუდოკის მახლობლად ბენად რის ნაპირზე შეამჩნიეს ბალტიის ფლოტის 59 გემი, რომელნიც სამხრეთისაკენ მიდიოდნენ.

სუეცი. არხში შემოვიდა რუსეთის კონტრ-ნაღმიანი გემი ტრანსპორტ „მალ გა“-თი, რომელიც ავადმყოფებითაა სავს.

პარიზი. გამომძიებელი კომისიის მოხს ნებას ხელი მოაწერეს კომისარებმა.

პარიზი. „ტანი“ და „ჟურნალ-დე დებ ბჭობენ მშვიდობიანობის დამყარების შ სახებ და ფიქრობენ, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთმა გაგზავნა შორეულ აღმო სავლეთში დიდი ფლოტი და შეკრიბ მანჯურიაში დიდძალი ჯარი, მას ა შეუძლიან ილაპარაკოს მშვიდობიანობაზე სანამ თავგამოდებითი მოქმედებით ა ჩაჩრდილავს წინანდელ დამარცხებათ შთაბეჭდილებას. გამომძიებელი კომისიის სხდომაზე ფურნიემ წაიკითხა კომისარებისაგან ხელ-მოწერილი მოხსენება, რომელიც საჯაროთ იქნება გამოცხადებული შაბათს. მოხსენება ირწმუნება, რომ არავითარი ჩირქი არ მოეცხება როჟესტვენსკისაო; თუმცა ზოგიერთ ადგილას-კი ეკამათება რუსების შეხედულებას. ადმირალები ფიქრობენ, რომ საეჭვო გემები არ შეიძლება ნაღმიანები ყოფილიყვნო. ამ პუნქტის შესახებ განსაკუთრებული აზრი შეიტანა დუბასოვმა.

პორტ-საიდი. 69 პორტ-არტურელი გაემგზავრა ოდესაში.

11 თებერვალი

ლონდონი. „ლლოიდა“-ის გადმოცემით რუსეთის სამხედრო გემი „რეზვი“ გაირიყა პორტ-საიდის ჩრდილოეთის მხარეზე.

პეტერბურგის ბირჟა 11 თებერვალი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5¼-6¾%
4% სახელმწიფო რენტა	90½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	87⅜
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	400
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	330
5% გირ. პომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	272
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	2½

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბაი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზისა ცარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ტფილისის
სამარხი კასის
საზოგადო კრება
დანიშნულია სათავად-აზნაურო ქარვასლაში თავად-აზნაურთა მამულების მმართველთა კანტორაში № 153. შაბათს თებერვლის 12 საღამოს ექვსს საათზედ.
განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ასარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა-დამატებისათვის. (3—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოუმა ბახანაი. მ. ჯ.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პეტრესი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	— 1

ცინკოგრაფია
წიგნებ გამომც. ქართველთა ამხანაგობის
ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.



СѢДЕ
СПЕЦІ
Безъ конкурен
продаются всевозмож
მიხაილოვის პრ., სახლ ვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ·—176 | 104

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო
რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგის მფა რველობის ქვეშ. სამკურნალო 75 ს წოლია შინაგან, ნერვებისა, საურგი დედათა და თვალით ავადმყოფთა, შე ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მი სკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გად დებ სენით და სულით ავადმყოფებს საავადმყოფოში არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Доз. цен. Тифлисъ, 11 февраль 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ი.